გაზეთი ზვიადის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№74 (1100) 3 - 5 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ინტერიერის დიზაინის ახალი, იტალიური შოურუმი — „გორგია პრემიუმი“ გაიხსნა

GORGIA
CONSTRUCTION REFURBISHMENT

თქვენი ოცნების სახლი — მსოფლიოში ცნობილი ინტერიერის დიზაინერებისა და არქიტექტორების რჩევებით

გვ.7

# ემზარ კვიციანი კოდორის საიდუმლოს შიფრავს და შტურმით იმუქრება




„დარწმუნებული ვარ, ხარძიანის მკვლელობაში უღესიანის ხელი ყველაზე ნაკლებად ურევია!“

„ოქრუაშვილმა ძალიან შეტოპა და უკანდახევის ჭკუა აღარ ეყო... ალასანიამ კი ბრძანება შეასრულა!“

გვ.4-5

ექსკლუზივი

რა გარიგება შესთავაზეს აფხაზებმა სააკაშვილის წინააღმდეგ და როგორ აკეთებინებდნენ განცხადებებს რუსები კოდორის ყოფილ რწმუნებულს

## სპორტის სასახლესთან „მაზავშჩიკობის ბიზნესი“ ჰყავის?!



გვ.6

ისხება თუ არა ერთჯერადი „მაზავშჩიკობა“ — რა ინფორმაცია აქვთ ოფიციალურ უწყებებს „ფოთოლას ცოდვის ბუნაგზე“

## გმირთა მოედანზე ეპიდემიის საშიშროებაა!

გვ.7

## აფხაზეთის ომის გმირმა 4 წლის ბავშვი მოკლა!

შოკისმომგვრელი ცრაგედია სიონის წყალსაცავზე



პატიმრის დღიური

გვ.8

# რუსთავში სენდვიჩ-პანელების საწარმო „პანექსი“ გაიხსნა



## საქართველოში წარმოებული პროდუქცია იმპორტსაც ჩაანაცვლებს და ექსპორტზეც გავა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2 ივლისს, რუსთავის გზატკეცილზე, თანამედროვე იტალიური დანადგარებით აღჭურვილი სენდვიჩ-პანელების საწარმო „პანექსი“ გაიხსნა. ეს პროექტი საპარტნიორო ფონდმა და ადგილობრივმა კომპანიამ, შპს ICES-მა განახორციელა. სენდვიჩ-პანელების საწარმოს გახსნის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, ბიზნესმენები და ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

სენდვიჩ-პანელების პროდუქციას ინდუსტრიული დანიშნულების შენობების მშენებლობისას იყენებენ. ეს პროდუქცია რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე იაფია, მისი დამონტაჟება ნაკლებ დროს მოითხოვს და სხვა სამშენებლო მასალებთან შედარებით, მოცულობაში ნაკლებია.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, **ირაკლი კოვზანაძის** განცხადებით, სენდვიჩ-პანელების საწარმოში გამოშვებული პროდუქციის 60% საქართველოში გაიყიდება, ხოლო დარჩენილი ნაწილი ანუ 40%, ექსპორტზე ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში გავა. მისი თქმით, საწარმოო ხაზის დადგმული სიმძლავრე, წელიწადში 2 800 000 კვადრატული მეტრი პანელია:

**„სენდვიჩ-პანელების საწარმოს გახსნა სამშენებლო სექტორისთვის დიდი დახმარებაა, რადგან ამით ინდუსტრიული მშენებლობის ხარჯი გაიაფდება. უფრო კონკრეტულად, საქართველოში წარმოებული პროდუქცია იმპორტს ჩაანაცვლებს და შესაბამისად, სამშენებლო კომპანიებსაც დანახარჯები შეუმცირდებათ. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ამ კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასებზე დადებითად აისახება“.**

სენდვიჩ-პანელების პროექტზე მუშაობა საპარტნიორო ფონდმა, ადგილობრივ კომპანია შპს ICES-თან ერთად, 2014 წლის მარტში დაიწყო. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 6 000 000 აშშ დოლარს შეადგენს, საპარტნიორო ფონდის წილი კი ამ პროექტში 49%-ია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** ახლადაშენებული საწარმო დაათვალიერა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია ინდუსტრიული მშენებლობების ხარჯებს გააიაფებს, რაც საბოლოოდ, სამშენებლო სექტორის განვითარებას ხელს შეუწყობს:

**„დიდი პატივია ჩემთვის, რომ ამ არაჩვეულებრივი საწარმოს გახსნაში ვმონაწილეობ. დღეს კიდევ ერთ, ახალ საწარმოს ვხსნით, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. „პანექსი“, რომელმაც ეს პროექტი საპარტნიორო ფონდთან ერთად განახორციელა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სენდვიჩ-პანელების იმპორტს ახორციელებდა. სწორედ ჩვენი მიდგომის შემდეგ, როდესაც ღიად განვაცხადეთ, რომ უმთავრესი პრიორიტეტი ადგილობრივი წარმოების განვითარება, იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლება და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებაა, დაინტერესდა „პანექსი“ ამ პროექტით, რომელშიც საპარტნიორო ფონდიც ჩაერთო. ასეთი სამშენებლო მასალის წარმოება მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, ეს დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სამშენებლო სექტორს, რადგან იმედი მაქვს, ჩვენს მშენებლებს არ მოუწევთ უცხოეთიდან პროდუქციის შემოტანა. რაც მთავარია, „პანექსის“ პროდუქცია ექსპორტზე ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში გავა“.**

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებითვე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობას დადებითი შედეგები მოაქვს. მისი თქმით, ბოლო ორი წლის მანძილზე, ხელისუფლებისა და ბიზნესის თანამშრომლობის შედეგად, ქვეყანაში 130-ზე მეტი საწარმო დაფინანსდა სოფლის მეურნეობის სექტორში. გარდა ამისა, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, 87 ახალი საწარმო დაფინანსდა და 600-ზე მეტი საწარმო გადაიარაღდა. ჯამში, ამ საწარმოების დაფინანსებას 250 მილიონი ლარი დასჭირდა:

**„ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი წარმოების განვითარებაა. იმედი მაქვს, იმპორტს ადგილობრივი წარმოება ჩაანაცვლებს, რომელიც ექსპორტზე ორიენტირებული და მაღალკონკურენტუნარიანი იქნება“.**

# საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ალექსანდრე შალამბერიძე გარდაიცვალა



„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ალექსანდრე შალამბერიძე გარდაიცვალა. რამდენიმე დღის წინ მას სისხლძარღვებზე ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციის შემდეგ ძალიან მძიმედ იყო.

ალექსანდრე შალამბერიძე 1999-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2004-2009 წლებში ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო.

გაზეთი „ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს ალექსანდრე შალამბერიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტზე ნიშანდება „გმ“-ს მითითება სავალდებულოა




1 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“, რომლის მიზანია მომხმარებლის ინფორმირება სურსათში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის შესახებ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ მომხმარებელს ექნება არჩევანის თავისუფლება, ვინაიდან იქნება ინფორმირებული, სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა.

აღნიშნული კანონი არეგულირებს ეტიკეტზე განსათავსებელ ინფორმაციას. კერძოდ, თუკი სურსათის შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%-ზე მეტია, მაშინ ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა „გმ“.

კანონის მიხედვით, ეს ნიშანდება მომხმარებლისთვის ადვილად აღქმადი და თვალსაჩინო უნდა იყოს. თუკი სურსათის ეტიკეტირება შეუძლებელია, თანმხლებ დოკუმენტაციაში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია გენმოდიფიცირებულობის შესახებ. ეტიკეტირების წესის დარღვევა საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმდება 5 000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება და ბიზნეოპერატორს 10 000 ლარის გადახდა მოუწევს.

სურსათი, რომლის ეტიკეტზეც არ იქნება მითითებული „გმ“ და ლაბორატორიული კვლევით აღმოჩნდება გენმოდიფიცირებული, ექვემდებარება განადგურებას. თუკი ბიზნესოპერატორი არ გაანადგურებს ასეთ სურსათს, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, იგი დაჯარიმდება 10 000 ლარით.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი

# უჩა ნანუაშვილი პატიმარი ქალების შემოწმების პროცედურას ღირსების შემლახავად მიიჩნევს



სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, 2014 წლის წლიური ანგარიშის წარდგენისას, პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და მათ შორის სასჯელაღრულების №5 დაწესებულებაზე გაამახვილა ყურადღება.

**„მიუხედავად იმისა, რომ №5 დაწესებულებაში ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მონიტორინგის დროს არაერთი პრობლემა გამოვლინდა ქალი პატიმრების მიმართ. დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას სრული შემოწმების პროცედურა წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემას, რომლის დროსაც პატიმრებს სრულად აშიშვლებენ და ბუქნების გაკეთებას სთხოვენ, რაც, რა თქმა უნდა, ღირსებული შემლახავ მოპყრობად შეიძლება ჩაითვალოს“,** — განაცხადა ნანუაშვილმა პარლამენტის სხდომაზე.

*„ინტერპრესნიუსი“*



# „ის, ვინც „ისლამურ სახელმწიფოს“ საღვთო ომს უწოდებს, მაპატიეთ და, სულელია!“

## რა ხდება პანკისში — მექა ხანგოშვილი კავკასიური პოლიტიკის შემუშავების ინიციატივით გამოდის

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**ჩრდილო კავკასიაში „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო გააქტიურებას საზოგადოების დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ვის აწყობს კავკასიის რეგიონში არსებული მდგომარეობის დესტაბილიზაცია? რა კავშირი აქვს ტერორისტულ დაჯგუფებას რუსეთსა და აშშ-სთან? რატომ გზავნის დაჯგუფება კავკასიის მმართველად აბუ მუჰამედ ალ-კადარს და არა თარხან ბათირაშვილს, რომელიც კავკასიის რეგიონს კარგად იცნობს? რა საფრთხე გვემუქრება და არის თუ არა ამ საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელი? — ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო გზა ჩრდილოკავკასიელი ხალხის გაერთიანება და რეგიონის გაძლიერებაა; სხვაგვარად რუსეთი შეეცდება, ვითარება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს და კავკასიელი ხალხი ერთმანეთს გადაკიდოს.**

— **ქალბატონო მექა, მას შემდეგ, რა პანკისიდან სირიაში საბრძოლველად წამსვლელთა რიცხვი გაიზარდა, ხეობაში უსაფრთხოების ზომები ხომ არ გამკაცრდა?**

— დღეს ხეობაში სიმშვიდეა, მაგრამ ამ სიმშვიდის მიღმა ძალიან დიდი საფრთხე იმალება, რომლის მოგვარებაზეც სახელეწიფომ უნდა იზრუნოს და მიზანმიმართული პოლიტიკა გაატაროს. წლების განმავლობაში ვიხვეწებოდით, ხეობას მიხედეთ-თქო, მაგრამ არც ერთ მთავრობას არ გამოუჩენია სათანადო ყურადღება... პანკისელი ახალგაზრდები იმ „სასაკლაოზე“ არ უნდა მიდიოდნენ, თუმცა მოგეხსენებათ, ცნობილი მოვლენების შემდეგ, ხეობაში სპეცოპერაცია ჩატარდა — რამდენიმე ადამიანი დააკავეს. ახალგაზრდები, რომლებიც სირიაში საბრძოლველად მიდიოდნენ, თბილისის აეროპორტშიც დააკავეს. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფომ გარკვეულ ზომებს უკვე მიმართა, თუმცა პანკისის ხეობისთვის თავის დროზე უნდა მიეხედა. „ისლამური სახელმწიფოს“ ძირითადი ბირთვი სწორედ პანკისელი მეომრები არიან. სამ ყველაზე ცნობილ საველე მეომარს, მათ შორის, თარხან ბათირაშვილს ვგულისხმობ. პანკისელ ახალგაზრდებში ისინი დღემდე ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, რაც სირიაში მათ წასვლაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა სხვა მიზეზებიცაა... უნდა მოხდეს ხეობის გაძლიერება, უხუცესთა ხელშეწყობა, ახალგაზრდების დახმარება, განათლების დონის ამაღლება და დასაქმება, რაც ამ ეტაპზე ნულია. ჩვენს სკოლებში სპორტული დარბაზებიც კი არაა. მხოლოდ ახლა შენდება სპორტული კომპლექსი, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

— **თარხან ბათირაშვილი „ისლამური სახელმწიფოს“ ცნობილი მებრძოლია, მაგრამ კავკასიის რეგიონში ვიღაც აბუ მუჰამედ ალ-კადარი მოდის. რატომ ის და არა — ბათირაშვილი?**

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ ბათირიშვილს არ სურს, მოძმე ერში სისხლი დაიღვაროს. არც ბათირაშვილი და არც ის ახალგაზრდები, რომლებიც პანკისიდან წავიდნენ, ამაზე არ წავლენ. სხვა საქმეა ჩეჩნეთში ბრძოლა და კადიროვის ე.წ. ხელისუფლების დამხობა.

— **ამას წინათ, კადიროვმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ჩეჩნეთში ფეხს ვერ მოიკიდებს და მხარს, მაქსიმუმ, ტყეში გახიზნული სეპარატისტები დაუჭერდნენ. ქალბატონო მექა, თქვენც ფიქრობთ, რომ ამ კუთხით იქ საფრთხე არ არსებობს?**

— რა თქმა უნდა, არა. კადიროვს ვინ ეკითხება? კადროვი კი არა, შიშისგან ზესახლემწიფოებიც კანკალებენ, კადიროვი კი პაიკია, რომელსაც პუტინი მაშინ მოიშორებს, როცა დასჭირდება.

— **„ვერსიასთან“ საუბრისას, ზაალ კასრელიშვილმა განაცხადა, ჩვენს მოქალაქეებს შესაძლოა, ფიზიკური განადგურება დაემუქროთო. ნუთუ, საკითხი ასე მწვავედ დგას?**

— ღმერთმა დაგვიფაროს, თუმცა გლობალური საფრთხეები რომ არსებობს, უდავოა. საქართველო კავკასიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საფრთხე მართლაც, არსებობს.

— **„ისლამური სახელმწიფო“ სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ ასადის რეჟიმს ებრძვის, მთავარი სამიზნე რუსეთია და ფილიალისთვის მაინცდამაინც ჩრდილოეთ კავკასია ამიტომ აირჩიეს?**

— თავისთავად ცხადია, ასეა. „ისლამური რესპუბლიკა“ სწორედ ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგაა შექმნილი. სამიზნედ კი, მოიაზრება პუტინი და რუსეთი. ამბობენ კიდეც, რომ ეს არის ომი აშშ-სა და რუსეთს შორის. ხშირად ჟღერდება ვერსიები, რომ აშშ ამ ჯგუფებს აფინანსებს. პუტინი კი, თავის მხრივ, — ბაშარ ალ ასადს.

— **ესე იგი, ფიქრობთ, „ისლამური სახელმწიფო“ წმინდა პოლიტიკაა და არა „ღვთის ომი“?**

— არავითარ შემთხვევაში. „ისლამურ სახლმწიფოს“ საღვთო ომთან საქმე არ აქვს. ვინც „ისლამურ სახელმწიფოს“ „საღვთო ომს“ უწოდებს, მაპატიეთ, მაგრამ სულელია! ასეთი სახელწოდება იმიტომ აქვს, რომ საზოგადოება გაურკვევლობაში შევიდეს. როგორ შეიძლება, ეს საშინელება ისლამთან — ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ჰუმანურ რელიგიასთან გააიგივონ? ეს დიდი მკრეხელობაა.

— **აბა, ვინ დგას „ისლამური სახელმწიფოს“ უკან?**

— ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი დაჯგუფებები სპეცსამსახურების მიერაა შექმნილი ისევე, როგორც თალიბანი და სხვა ტერორისტული დაჯგუფებები. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ცალკეულ ჯგუფებს ჰქონდეთ გარკვეული მიზნები, იგივე თარხან ბათირაშვილს და სხვა ჩრდილოკავკასიელებს, რომლებსაც ეს ომი, მართლაც, საღვთო ომი ჰგონიათ, მაგრამ ის, რაც ხდება, ტერორიზმია და სხვა სახელი არ აქვს. ისიც, რაც აშშ-ში რამდენიმე დღის წინ დაკანონდა (ერთსქესიანთა ქორწინება), ტერორიზმია, ოღონდ — სხვა სახის. ეს მიზანმიმართული ქმედებაა, რომელიც საზოგადოების გენოციდს ემსახურება.

— **ისევ „ისლამურ სახელმწიფოს“ რომ დავუბრუნდეთ, გამორიცხავთ, რომ რუსეთმა არსებული ვითარება სასიკეთოდ გამოიყენოს და კავკასიაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს?**

— ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ამის არაერთი მაგალითიც გვქონდა. რუსეთმა ერთმანეთს ჯერ ოსები, აფხაზები და ქართველები გადაკიდა. მერე — ქართველები და ჩეჩნები. ბოლოს, აზერბაიჯანელები, სომხები, ინგუშები და ოსები. რუსეთს ნებისმიერ დროს აწყობს კავკასიაში ვითარების დაძაბვა.

— **გამოდის, რეგიონში „ისლამური სახელმწიფოს“ პროვინციის დაარსება ყველაზე მეტად რუსეთს აწყობს?**

— ამ კუთხით, კი.

— **შესაძლებელია, ისეთი ვითარება შეიქმნას, კავკასია იძულებული გახდეს, რუსეთს შეეკედლოს?**

— შესაძლოა... 400 წელია, რუსეთთან ვომობთ. ის უკვე ცნობილი მტერია. „ისლამური სახელმწიფო“ კი შედარებით უცხოა, ამიტომ ვფიქრობ, ამის დაშვებაც შესაძლებელია.

— **ქალბატონო მექა, სახელმწიფომ, საფრთხეები თავიდან რომ აირიდოს, რა უნდა გააკეთოს?**

— ჩვენი როლი ძალიან მცირეა... ვფიქრობ, ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ საქართველომ, დანარჩენ კავკასიასთან, სამწუხაროდ, ურთიერთობა გაწყვიტა. მოგეხსნებათ, არც სააკაშვილის პოლიტიკა იყო კავკასიური, მაგრამ 2008 წლის ომის შემდეგ, ყველამ დავინახეთ, რომ საქართველო კავკასიის გარეშე, როგორც ძლიერი სახელმწიფო, ვერ ჩამოყალიბდება და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც ძალიან გაუჭირდება. სწორედ ამიტომ არსებობდა კავკასიური პოლიტიკა და ჩრდილოკავკასიურ ხალხებთან ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც პარლამენტში შეიქმნა და დამტკიცდა. პირადად გავცნობივარ ამ სტრატეგიას, ძალიან მაღალ დონეზე იყო შესრულებული, მაგრამ ახალი ხელისუფლების პირობებში სიტყვა „კავკასია“ საერთოდ ჩაკვდა — კავკასიასთან ურთიერთობა არ გვაქვს. თუ გვინდა, ისეთ საფრთხეს გავუმკლავდეთ, როგორიც „ისლამური სახელმწიფოა“, ჩვენმა ქვეყანამ კავკასიური პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს!

— **რატომ გგონიათ, რომ ასეთი პოლიტიკა გაამართლებს?**

— სხვაგვარად, ჩვენი, როგორც ძლიერი სახელმწიფოს გადარჩენის შანსი, ნაკლები იქნება. უნდა მოხდეს კავკასიური პოლიტიკის მაღალ დონეზე ატანა და გაძლიერება. ერთად კავკასიელები დიდი ძალა ვიქნებით. წარმოიდგინეთ, ჩეჩნეთი 20 წელია, რუსეთს ებრძვის, მაგრამ დღემდე შესწევს უნარი, თავისი დამოუკიდებლობისთვის იბრძოლოს. ჩეჩნეთი ისეთი პატარაა, რუკაზეც არ ჩანს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ კავკასია გაერთიანდება, ეს უზარმაზარი ძალა იქნება.



# გიორგი მარგველაშვილი: „საქართველოსა და თურქმენეთის ხედვები თანხვედრაშია“

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა თურქმენეთის პრეზიდენტ გურბანგული ბერდიმუჰამედოვს საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსვლისთვის მადლობა გადაუხადა და მზადყოფნა გამოთქვა, წლის ბოლოს თურქმენეთის ნეიტრალიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწროს.

**„ჩვენი შეხვედრისას განსაკუთრებული აქცენტი დაეთმო საქართველოსა და თურქმენეთს შორის მიმდინარე ინტენსიური თანამშრომლობის გაღრმავებას რიგი მიმართულებებით. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას ეკონომიკური განვითარების კუთხით. ამ თვალსაზრისით ჩვენი ერთობლივი სტრატეგიული ხედვები აბსოლუტურად თანხვედრია. თურქმენეთი ძალიან სწორად და სტრატეგიულად ხედავს თავისი ქვეყნის განვითარებას, თანამშრომლობას საქართველოსთან და ეს თანამშრომლობა არის მომგებიანი არამარტო საქართველოსა და თურქმენეთისთვის, არამედ რეგიონისთვის და უფრო გლობალურად, ევრაზიული რეგიონის მრავალი ქვეყნისთვის. ჩვენი ერთობლივი სატრანზიტო და ენერგეტიკული პროექტები და მათი ხედვები იძლევა შესაძლებლობას თურქმენეთის ჭარბი ენერგეტიკული რესურსის ტრანსპორტირებისა ევროპის ბაზრებზე და ამ თანამშრომლობაში ერთვება არაერთი ქვეყანა“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

იმ პროექტებს შორის, რომელზეც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა, მარგველაშვილმა ხაზი გაუსვა „ლაპის ლაზულის“ და „აგრის“ პროექტებს და აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობა წარმატებას მოუტანს თურქმენეთსაც, საქართველოსაც, ავღანეთსაც, თურქეთსაც.

**„ეს ის გადაწყვეტილებებია, რომელსაც მოაქვს ეკონომიკური წარმატება, რეგიონისთვის მეტი სტაბილურობა, მეტი უსაფრთხოება. ეს ის ხედვებია, რომელიც აწყობს არამარტო ორ ქვეყანას, არამედ გლობალურად იმ ქვეყნებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან რეგიონში სიმშვიდეზე, თანამშრომლობასა და უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ ამ ვიზიტზე, განსაკუთრებული იმედები გვაქვს და გვჯერა, რომ ჩვენი პარტნიორები და მეგობრები მთელი ევრაზიის კონტინენტის მასშტაბით იმედის თვალით უყურებენ და მხარდაჭერას გამოხატავენ ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისათვის“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საქართველო და თურქმენეთი ძალიან ეფექტურად თანამშრომლობენ საერთაშორისო არენაზე და ეს თანამშრომლობა გაგრძელდება.

***„ინტერპრესნიუსი“***

# საკრებულოს წევრებზე გასაცემი ხარჯების მაქსიმალური ზღვარი წესდება



ამას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც თანამდებობის პირი არ არის, ასანაზღაურებელი ხარჯების რაოდენობა ყოველთვიურად არ უნდა აღემატებოდეს, გარდა სამსახურებრივი მივლინებისთვის გათვალისწინებული ხარჯებისა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.

აღნიშნული შეზღუდვა თბილისის საკრებულოს წევრებზე არ ვრცელდება.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი განმარტავს, ასეთი ხარჯი ხელფასის სახით მიღებულ თანხად არ ჩაითვლება და არ დაიბეგრება.

***„ინტერპრესნიუსი“***



# ემზარ კვიციანი კოდორის საიდუმლოს შიფრავს და შტურმით იმუქრება

## „დარწმუნებული ვარ, ხარძიანის მკვლელობაში უდესიანის ხელი ყველაზე ნაკლებად ურევია!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, გასამხედროებული ჯგუფი „მონადირის“ ხელმძღვანელის, ემზარ კვიციანის ბიოგრაფია ყველამ, ალბათ, ზეპირად იცის. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია გახდა, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტი გაუქმდა, კვიციანი კი ხელისუფლების წინააღმდეგ წავიდა და კოდორი, რამდენიმე ათეულ თანამოაზრესთან ერთად, ციხესიმაგრედ აქცია. ალბათ, ვერავინ უარყოფს, რომ კვიციანმა ხეობა კბილებით დაიცვა და იქ არც რუსის ჯარი შეუშვია, არც აფხაზები. რა მოხდა „მონადირის“ დაშლის შემდეგ, რას დაპირდა ალასანია, რა როლი შეასრულეს კოდორის ჩაბარება-გაყიდვაში თავდაცვის ექსმინისტრებმა — ოქრუაშვილმა და ბარამიძემ და ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა, რატომ გაიქცა რუსეთში, რა კითხვები უჩნდება ირაკლი ალასანიას მამის, მამიას ალასანიას მიმართ ჟიული შარტავას დაღუპვის გამო, რომელთაც, მისი აზრით, დღეს „ფორუმელი“ კახა შარტავა უნდა სვამდეს, რატომ უკავშირებს ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობას სვანური სეპარატიზმის მცდელობას, რა მიზნით ითხოვს 50 მილიონს და ვისი სახლის წინ აპირებს 25 000-კაციანი შტურმის მოწყობას? — „ვერსია“ გთავაზობთ ვრცელ ინტერვიუს ახლა უკვე პატრიოტთა ალიანსის წევრ ემზარ კვიციანთან.**

**— ბატონო ემზარ, თქვენი განცხადება ვნახე, რომლის მიხედვითაც, სარჩელს ამზადებთ და კომპენსაციად 50 მილიონსა და სააკაშვილის ყვარლის სახლის გადმოცემას ითხოვთ. ამხელა თანხა რაში გჭირდებათ ან ისეთ სარჩელს რატომ ამზადებთ, რომელიც პირადი კეთილდღეობის აღდგენას ეხება და არა — ისეთს, რომლითაც, ვთქვათ, კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლების დასჯას მოითხოვთ?**

— იმით დავიწყებ, რომ სააკაშვილმა სწორედ პირადი ცხოვრება და კეთილდღეობა წამართვა. ეს თანხა, რა თქმა უნდა, გაბერილია, მაგრამ დახმარების თხოვნით ყოველთვის ბევრი გაჭირვებული ადამიანი მომმართავდა, დღეს კი მათი რაოდენობა გაცილებით დიდია, ამიტომ, თუ პროცესი მოვიგე, შესაძლოა, ეს 50 მილიონი მთლიანად საქველმოქმედო ფონდში გადავრიცხო. სარჩელი რომ არ შევიტანო, აბა, რა ვქნა, სხვა შანსი არ დამიტოვეს — ყველაფერი ნაციონალებმა წამართვეს, ესენი კი არაფერს მიბრუნებენ. სააკაშვილს პასუხი ხომ უნდა ვაგებინოთ?!

**— ამ კომპენსაციით ყველაფერი ხომ ვერ გაიქვითება, თუნდაც კოდორის ხეობა?!**

— რა თქმა უნდა, ვერა. ამით კოდორს ვერ დავაბრუნებ, მაგრამ 50-დან 40 მილიონი კოდორს რომ მოვახმაროთ, იქ ბევრი რამ გაკეთდება. დღეს კოდორში ჩვენი მოსახლეობა ცხოვრობს, 108 ოჯახი, ჩემი დისშვილიც იქაა და მათ რომ ეს ფული მოვახმაროთ, ამას სხვებიც ნახავენ და უკან ბევრი დაბრუნდება. სვანები როგორი ქართველებიც იყვნენ, ისეთებად დარჩნენ. ოდესმე რომელიმე სვანისგან გაგიგიათ, ქართველი არ ვარო? კოდორში რაც მეტი ქართველი იქნება, მით უკეთესი. დღეს აფხაზეთში მოსახლეობის მესამედი აფხაზია, ქართველები და სომხები კი თანაბრად არიან წარმოდგენილნი. ცხადია, ამ ფულით ვერც ის წლები გაიქვითება, რაც ციხეში გავატარე, 11 შეთითხნილი მუხლით, რომელთაგან 9 მომიხსნეს და ორი დამიტოვეს.

**— შეიარაღებული ბანდფორმირების შექმნა და ცენტრალური ხელისუფლების დაუმორჩილებლობა დაგიტოვეს, არა?**

— დიახ, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი და ახლაც იგივე აზრზე ვარ: ვინც ფიქრობს, რომ აფხაზეთი ძალისმიერი გზით უნდა დავიბრუნოთ, ძალიან ცდება. ჯერ ერთი, ამას ვერ შევძლებთ და მეორეც, რომც შევძლოთ, ეს მაინც არ უნდა გავაკეთოთ. ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ჩვენვე შემოგვიბრუნდება. ვიდრე სააკაშვილმა იარაღის ჟღარუნი არ დაიწყო, რუსებმა კოდორი ვერ დაიპყრეს: ისე იქ რუსი ვერ შემოვიდოდა, ამის არც საფუძველი ჰქონდა და არც ლეგიტიმაცია, ან თუ შემოვიდოდა, სამშვიდობო ძალის სტატუსით და აფხაზებს ვერ შემოიყვანდა. სააკაშვილი სწორედ ამიტომ მოიყვანეს ხელისუფლებაში, კოდორი რომ ჩაებარებინა.

**— მოვლენების განვითარებას ლოგიკურად რომ მივყვეთ, ხელისუფლებამ იარაღით ჯერ თავად მოგამარაგათ, მერე წაგართვათ. ბოლოს, ირაკლი ოქრუაშვილმა „მონადირე“ გააუქმა და ამით შეიარაღებული დაჯგუფება კანონსმიღმა აღმოჩნდა. რეალურად რა მოხდა, ბატონო ემზარ?**

— თქვენს კითხვაში პასუხიცაა: ვინ შექმნა ლოგიკურად შეიარაღებული ბანდფორმირება — ემზარ კვიციანმა თუ ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც ბატალიონი გააუქმა, მაგრამ ბიჭებს იარაღი დაუტოვა? მე თუ ყაჩაღი ვარ, ერთი ყაჩაღი დამისახელეთ, ვინც ტერიტორიას იცავდა! ხელისუფლებას კი არა, აფხაზეთის მესამედის ჩაბარებას ვეწინააღმდეგებოდი. კოდორს ვიცავდი და იმ ბიჭებთან, ვინც იქ დამეღუპა, ფიცი დავდე, რომ ხეობას არ მივატოვებდით და ბრძოლის ველზე არც დაჭრილებს დავტოვებდით, არც დაღუპულებს. რადგან ცოცხალი დავრჩი, უფლება არ მქონდა, სხვაგვარად მოვქცეულიყავი — ან მკვდარი უნდა ვყოფილიყავი, ან ხეობა დამეცვა, თორემ ხატის წინაშე დადებული ფიცი მიტყდებოდა. ან, ის უნდა მომხდარიყო, რაც მოხდა: კოდორი ჩემთვის ძალით უნდა წაერთმიათ და რუსებისთვის ჩაებარებინათ.

**— რუსეთიდან სწორედ სიმართლის გასარკვევად ჩამოხვედით და არ გაინტერესებთ, რატომ არ დაიკითხა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ცოტა ხნით, საჩვენებლად დაიჭირეს?**

— ირაკლი ოქრუაშვილმა დოლობაურის ქუჩაზე ჩემს მიერ აშენებული სამოთახიანი ბინა წამართვა — იქ გავზარდე ბავშვები, იქიდან გამოვასვენე დედაჩემი, ოქრუაშვილმა კი აიღო და ეს სახლი თავის ზონდერს, ვინმე ომარ მეტრეველს უკანონოდ გადასცა. ასე გამოყარეს ჩემები და ეს კაცი შეასახლეს, რომელიც დღემდე იქ ცხოვრობს, ოქრუაშვილის მიერ ერთპიროვნულად გაცემული დროებითი ორდერის საფუძველზე. ახლა ის ასაკი აღარ მაქვს, ადამიანს ყელში ვწვდე და გამოვაგდო, ამიტომ 3-4 თვეა, თავდაცვის სამინისტროში განცხადება შევიტანე და ვითხოვ, ის ორდერი გააუქმონ. ერთი მინისტრი უკვე გამოვიცვალე, მინდია ჯანელიძისგან პასუხი ვერ მივიღე, ახლა თინა ხიდაშელს ველოდები. სამართლებრივ გზას მივყვები, როგორც წესი და რიგია, მაგრამ შევხედავ, რა იქნება. თუ ჩემი იგნორირება გაგრძელდება, უკვე პარტიის წევრი ვარ და თანაპარტიელებთან ერთად გეგმაც მაქვს: ეჭვი არავის შეეპაროს, ჩემს სახლს 25 000 კაცთან ერთად მივადგები და ზონდერისგან გავათავისუფლებ.

თუ სამართლიანობის აღდგენა ხელისუფლებას არ სურს, ხალხი უკვე იკრიბება და სამართლის აღსადგენად ფეხზე თავად დადგება. გეუბნებით: თუ ისევ უსამართლოდ მომექცევიან, იძულებული ვიქნები, საქართველოს მოსახლეობას ვთხოვო, გვერდში დამიდგეს და ჩემი სახლი დამაბრუნებინოს!

**— არ გეშინიათ, 25 000 კაცთან ერთად, კოდორში შეჭრის მცდელობა ან ისევ ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულება რომ დაგაბრალონ ანუ სწორედ ის მუხლები „გაგიცოცხლონ“, რაც დაგიტოვეს?**

— ამ ბრალდებას აზრიც ხომ უნდა ჰქონდეს? კერძო საკუთრებას დავიცავ. ჯერ პასუხი გამცენ, რა დამსახურებისთვის გადასცეს ჩემი სახლი ომარ მეტრეველს, ოქრუაშვილის ხუშტურების გამო?! ოქრუაშვილი სასამართლოზე ვერ ჩამოგვყავსო, ამბობდნენ და ამ დროს, პროკურატურამ პროცესი 20 ოქტომბრამდე სპეციალურად გადადო, 18-ში კი ოქრუაშვილი საზღვარზე გაატარეს და ქვეყნიდან გაუშვეს — ყველაფერი გააკეთეს, რათა პროცესი კიდევ გადადებულიყო. ჰკითხეთ ოქრუაშვილს, რატომ გააუქმა „მონადირე“ და დაუტოვა იარაღი მებრძოლებს? ეს რუსეთისა და ამერიკის მიერ დაგეგმილი ერთობლივი ოპერაცია იყო — ხელს ვუშლიდი, უნდა მოვეშორებინე და ხეობის ჩაბარებით, აფხაზეთი ბოლომდე რუსეთისთვის ჩაებარებინათ.

**— ამ პროცესში გია ბარამიძეს რა როლი ჰქონდა? კოდორში ოფიციალურად იარაღი მან შეიტანა და ესეც გეგმის ნაწილი იყო?**

— როცა ბარამიძემ ხეობაში იარაღი შეიტანა, არ გამოვრიცხავ, არც იცოდა, ამას რატომ აკეთებდა. არც იმას გამოვრიცხავ, ოქრუაშვილიც, უბრალოდ, დავალების შემსრულებელი ყოფილიყო. როცა უკვე ძალიან შეტოპა, ოქრუაშვილს უკანდახევის ჭკუა აღარ ეყო. სინამდვილეში, რატომ გაბრაზდა და წავიდა ოპოზიციაში? — უკვე თავისი გეგმები ჰქონდა დაწყობილი, მაგრამ მოტყუვდა.

**— რას გულისხმობთ?**

— არაა გამორიცხული, დაპირებოდნენ, აფხაზეთს დაგაბრუნებინებთო და მოუნდა, ისტორიაში გმირად შესულიყო, თუმცა ადამიანი ჯარში რომ არაა ნამსახურები, თავდაცვის მინისტრადაც არ უნდა დანიშნო.

## ვერსიანიუსი

### კახა კალაძე: „ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შემთხვევაში სუბსიდირებაზე მთავრობა იმსჯელებს“



ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმადაც თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შემთხვევაში მოხდება თუ არა ბიუჯეტიდან სუბსიდირება.

რაც შეეხება, თბოელექტროსადგურების მოთხოვნას, რომლითაც მათ სემეკს უკვე მიმართეს და ტარიფის გადახედვა მოითხოვეს, მინისტრმა აღნიშნა, რომ ლარის გაუფასურებამ ენერგეტიკაში არსებულ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

**„ტარიფს რაც შეეხება, თქვენ იცით, რომ თბოელექტროსადგურებს აქვთ განაცხადი გაკეთებული. ამ მიმართულებით სემეკი მუშაობს. მე ადრეც გავაკეთე განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ლარის გაუფასურებამ ძალიან დიდი დარტყმა მოგვაყენა, ენერგეტიკაში არსებულ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ვნახოთ, დაველოდოთ სემეკის გადაწყვეტილებას, ვიცი, რომ მიმდინარეობს დათვლა. ამას გარკვეული დრო სჭირდება და ალბათ უახლოეს მომავალში ცნობილი იქნება“,** — განაცხადა კალაძემ.

***„ინტერპრესნიუსი“***

### თინა ხიდაშელი: „დასავლეთმა უნდა აჩვენოს, რომ საქართველოს გვერდით ყოფნა ნამდვილად სურს!“



თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ დასავლეთმა საქართველოსა და უკრაინისთვის მეტი უნდა გააკეთოს. როგორც მან „ციურიხის ახალი გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, დასავლეთმა უნდა გამოხატოს პოლიტიკური ნება და აჩვენოს, რომ საქართველოს გვერდით ყოფნა ნამდვილად სურთ:

**„თბილისში ჩემი საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან კავკასიონს ვხედავ. კარგი ხილვადობის პირობებში, რუსული დროშების დანახვაც შესაძლებელია. გულწრფელად ვფიქრობ და ვამბობ, რომ დასავლეთმა საქართველოსა და უკრაინისთვის მეტი უნდა გააკეთოს. ჩვენ არ ვითხოვთ, ჯარისკაცებმა საქართველოში იბრძოლონ ან მოსკოვში ბომბები ისროლონ. უბრალოდ, ვამბობთ, პოლიტიკური ნება გამოხატონ და გვაჩვენონ, რომ ჩვენს გვერდით ყოფნა ნამდვილად სურთ“.**

კითხვაზე — თუ საქართველო დასავლეთთან მეტად ინტეგრაციას ველარ მოახერხებს, ხომ არ გამოიწვევს ეს პრორუსული ძალების გაძლიერებას, ხიდაშელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთის ნოსტალგია არა აქვს, თუმცა შეიმჩნევა პროდასავლური ძალების გარკვეული უკუსვლა.

**„ამ ფონზე, გაურკვეველი პოლიტიკური ძალები ჩნდებიან ხოლმე. ზოგადად, არა მხოლოდ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, არამედ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, რომელიც უნდა გაგრძელდეს, მათ შორის, მედიის თავისუფლების სფეროში და სასამართლო სისტემაში“,** — დასძინა ხიდაშელმა.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***



ამ დროს, თავი მაგარი სტრატეგი ეგონა. ირაკლი სისტემის ნაწილი იყო და იმას აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ — შეასრულა ბრძანება, გაეუქმებინა ბატალიონი, ირაკლი ალასანიამ კი შეასრულა ბრძანება, გაეუქმებინა გუბერნია.

**— ირაკლი ალასანია თავის დროზე დაგპირდათ, რომ კოდორს არ მიატოვებდა. ეს პირობა შეასრულა?**

— მოდი, ჯერ ის გავარკვიოთ, ვინ არიან ამ ადამიანების მამები, ბაბუები და მივხვდებით, თავად ვინ არიან. კაგებე-ში მომუშავე ადამიანების შვილები და შვილიშვილები სხვანაირები ვერ იქნებიან. ალასანიას მამა კაგებე-ს გენერალი რომ იყო, მთელმა ქვეყანამ იცის.

**— მამია ალასანია აფხაზეთში გმირულად დაიღუპა!**

— და ვინმემ ნახა მისი გვამი?! სადაა დანარჩენი გვამები, ან ვინ ნახა ალასანიას მამის გვამი? ქვეყანამ იცის და მეც ვიცი, რომ ალასანიას მამა კაგებე-ს გენერალი იყო და ჟიული შარტავას დაცვა ევალებოდა. რატომ ვერ შეასრულა ეს დავალება, 44 ავღანელი მეომრის დაცვის მიუხედავად, რატომ მოხვდა შარტავა მტრის ხელში? 44 გამოცდილი მეომარი, ვერც წარმოიდგენთ, იმხელა ძალაა. მასთან ერთად იყვნენ გასვიანი და რეზესიძე. თუკი ისინი გამოვიდნენ, ამხელა დაცვამ და ალასანიამ შარტავას გამოყვანა როგორ ვერ მოახერხეს? ეს კითხვებს არ ბადებს? სინამდვილეში რა მოხდა, ამას არავინ კითხულობს? ირაკლი ალასანიამ არაფერი იცის, მაშინ ბავშვი იყო, მაგრამ ამ ინტერვიუს წაკითხვის მერე, კახა შარტავას კითხვები აუცილებლად გაუჩნდება, თუ აქამდე არ ჰქონია. ზუსტად ჟიული შარტავას გზა გავიარე და ამ კითხვებს იმიტომ ვსვამ, ზვიად გამსახურდიას გზაც გავიარე და ვიცი, რომ შარტავაცა და გამსახურდიაც გმირები არიან, მაგრამ ამას დანარჩენებზე ვერ ვიტყვი.

**— თქვენც გმირი ხართ**?

— მეომარს ხელში ტყვია-წამალი რომ უკავია და ბარდება, ძალიან ცუდი საქმეა! გმირი ისაა, ვინც ტყვიას მკერდით შეხვდა და არა ზურგით. დღეს არცერთი გმირი არაა ცოცხალი და როცა გმირს მეძახიან, უხერხულად ვარ, ცუდად ვხდები. მე გმირი არ ვარ, მაგრამ აი, ახლავე რომ მოვკვდე, გმირი ვიქნები. ვიდრე ადამიანს გარდაცვალებამდე თუნდაც ერთი საათი რჩება, ის გმირი არაა, რადგან არავინ იცის, რა სისულელეს ჩაიდენს სიცოცხლის ბოლო წუთებში.

**— მაინც არ მეუბნებით, ბატონო ემზარ, ალასანიამ პირობა რატომ არ შეგისრულათ?**

— იმიტომ, რომ ისიც სისტემის ნაწილი იყო. მეუბნებოდა, გუბერნიას გავაუქმებ, მაგრამ მხარში დაგიდგებიო. ვთხოვდი, ამას ნუ იზამ, ვიცი, არ გაწყობთ, რწმუნებული ვიყო, მაგრამ ვინც გინდათ, ის მონახეთ და დანიშნეთ-მეთქი. ყველაფერი გაკეთდა, რომ ჩვენთვის ხეობის შენარჩუნების 1%-იანი შანსიც კი არ დაეტოვებინათ. სპეცსამახურებს ხომ უნდა ეწარმოებინათ დაზვერვა — რა ხდებოდა საქართველოში ომის დროს, გაიყიდა თუ არა ტერიტორიები და ვინ ვისთან გარიგდა, მაგრამ სად იყვნენ ჩვენი სპეცსამსახურები? სწორედ ისინი ყიდდნენ ქვეყანას! დღეს მათ პრივილეგიები აქვთ — ვეტერანები არიან, ჩემთვის კი არანაირი პრივილეგია არ არსებობს და ვეტერანის სტატუსის მიღებას 3 თვე მოვუნდი. ვისაც კოდორის ხეობის დაცვა ევალებოდა, მათგან რატომ არავინ დაიკითხა, არც — პოლიციის წარმომადგენელი ანზორ მარგიანი და არც შინაგანი ჯარების სარდალი სოსო ქარჩაიძე, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული 3 000 ჯარისკაცი ჰყავდა, მე კი ხეობა 16 კაცით შევინარჩუნე!

**— არსებობს კონტრკითხვაც — თუკი მათი მოსისხლე მტერი იყავით და ხეობას არ აბარებდით, რუსებმა რატომ შეგიფარეს, ვისთან და როგორ ცხოვრობდით რუსეთში და საერთოდ, კოდორში ვინ და როგორ წაგიყვანათ თუ ჩაგიტყუათ, როგორც თქვენმა დამ მითხრა?**

— კოდორში იგორ გიორგაძემ და ტარიელ ონიანმა გამიტყუეს. ისინი სწორედ ნაციონალებთან იყვნენ შეთანხმებულნი. სააკაშვილი და ონიანი ერთ საქმეს აკეთებდნენ, ამაშია მთელი „ფიშკა“. ნაციონალებმა რა, არ იციან რუსეთში როგორ ვიყავი?! სწორედ ისინი არიან რუსეთის აგენტები და ეს სწორედ იქ გავშიფრე, რუსეთში. მათი პარტია კი იგორ გიორგაძის მიერაა შექმნილი. ჯერ ჩემი ოჯახი გაიტყუეს, მერე მე ჩამიტყუეს კოდორში, მაგრამ იქედან სოჭში გავიქეცი, სადაც 2 წელი ყარაულის ქვეშ ვიყავი. ჩემი ოჯახი და 2 წლის გოგონა დაცვის ქვეშ ჰყავდათ, ამით სარგებლობდნენ და სააკაშვილის რეიტინგის ასაწევად განცხადებებს ძალით მაკეთებინებდნენ. ჩემი შვილები დაცვის ქვეშ რომ ჰყოლოდათ, ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთში ძალიან კომფორტულად ვიქნებოდი?! მაინც იცოდნენ, რომ ყველაფერზე წამსვლელი არ ვიყავი. ერთხელ, რუსებმა შემომთავაზეს, თანხმობა მოგვეცი, ხეობაში შევიდეთო, არადა, ამ დროს თანამდებობა აღარ მქონდა და სააკაშვილი არც კოდორში მიშვებდა. მაინც ჩემი თანხმობა უნდოდათ, თან ტელევიზორშიც მაყურებინებდნენ, როგორ მლანძღავდნენ ქართველები, გაქცეულსა და მოღალატეს მეძახდნენ. უარი ვუთხარი და ამის მერე ჩემთან აფხაზი გარიკა კუპალბა მოვიდა, რომელთანაც ათწლიანი ხელშეუხებლობის შეთანხმება დავდეთ და არავის სისხლი დაღვრილა. მან მითხრა, უკანდასახევი გზა აღარ გაქვს, მოდი, გავერთიანდეთ სააკაშვილის წინააღმდეგ და გავაგდოთო. ვუთხარი, ეს რუსმა უკვე შემომთავაზა, მაგრამ შენ კავკასიელი ხარ, ეს ხომ ღალატია და ენა როგორ გიბრუნდება-მეთქი?! მიპასუხა, თავის დროზე, როცა ილორში გამსახურდია მოიყვანეს, შევარდნაძის წინააღმდეგ გაერთიანება მასაც შევთავაზეთ, მაგრამ უარი გვითხრა და კი იცი, როგორც დაამთავრა. ესეც გქონდეს მხედველობაშიო, მითხრა და წავიდა. იმ დღეს თანხმობაზე ხელი რომ მომეწერა, იმავე წამს ხეობაში შევიდოდნენ და ყველაფერი მე დამბრალდებოდა. მთელი ეს დრო ხეობას რუსები სააკაშვილის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად იყენებდნენ. როცა განცხადება გამაკეთებინეს, თვითმფრინავებზე ნადირობას ვიწყებ-მეთქი, ორ დღეში, კოდორში სააკაშვილი ჩაფრინდა და ხელებს იქნევდა, ცხვრ-პირს ჩავუმტვრევ, ვინც აქ შემოსვლას გაბედავსო. ამ დროს, აფხაზებს რუსები ხეობაში შესვლაზე ვერ ითანხმებდნენ და სააკაშვილი ამ განცხადებებს აფხაზების გასაღიზიანებლად აკეთებდა, მას კი სწორედ რუსები იცავდნენ. ამიტომაც, როცა 9 აგვისტოს ქართული ჯარი კოდორიდან გამოვიდა, აფხაზები ხეობაში მხოლოდ 13-ში შევიდნენ. 26 აგვისტოს კი უკვე აფხაზეთი დამოუკიდებლად აღიარეს. მოკლედ, ქართულმა მხარემ, რუსეთთან ერთად, ყველაფერი გააკეთა, რათა აფხაზები კოდორის ხეობაში შეეყვანა.

**— იქ მყოფ კოდორელებს, მოსახლეობას, „მონადირეს“ წევრებს რა ბედი ეწიათ?**

— ერთ დღესაც, ყველა ერთად ადგა და იქედან წამოვიდა. ადგილობრივ მოსახლეობას იარაღი წაართვეს, ჩემი ბიჭები კი სულ ტყუილად დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს. მართალია, ჩემს მებრძოლებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც კაცი შემოაკვდა, ან სიმთვრალეში რაღაც დააშავა, მაგრამ ციხეში ჯდომით რა სარგებელს მოუტანდნენ ქვეყანას? აი, იქ ყოფნით კი დიდი სარგებელი მოუტანეს და ეს ბიჭები არ უნდა გამომეყენებინა?!

**— თუმცა, ეს კანონგარეშე იყო.**

— მესმის, მაგრამ შენი ქვეყნის სასარგებლოდ კანონი რომ დაარღვიო, არაფერი უშავს! კარგი, ვიღებ ჩემს თავზე ამ დანაშაულს, კანონი დავარღვიე და 3-4 ძებნილით აფხაზეთის ტერიტორიის 30% შევინარჩუნე, ამისთვის დამსაჯეთ! რუსეთთან შეკრული რომ ვიყო, დღეს სახლ-კარიც მექნებოდა და ფულიც. ცოტა იცით რუსეთთან შეკრული ბიზნესმენი, მილიარდერი და მილიონერი? — აგენტი რომ ვყოფილიყავი, მეც მათსავით ვიცხოვრებდი.

**— რუსებს იქნებ კოდორის ჩაბარების მერე აღარ სჭირდებით?**

— და სანამ ვჭირდებოდი, რა ამოცანა შევასრულე? კოდორის ჩაბარება რომ მდომებოდა, იქ ვიყავი და ჩავაბარებდი, მაგრამ ეს არ გავაკეთე, თორემ სააკაშვილის ნაცვლად მე ავიღებდი იმ 4,5 მილიარდს. თემურ ალასანიაც მთავაზობდა 10 მილიონს, მაგრამ არც მას დავთანხმდი! ეს უკვე ცნობილი ფაქტებია...

ახლა უკვე პოლიტიკურ პარტია პატრიოტთა ალიანსში ვარ.

**— ეს პარტია რატომ აირჩიეთ?**

— ყველა პატრიოტი აქ უნდა გაერთიანდეს, პარტიასაც ხომ ასე ჰქვია?! როცა ბევრი პატრიოტი თავს ერთად მოიყრის, თუ ვინმეს არაპატრიოტული იდეები გაუჩნდება ან რამე დავალება ექნება მიღებული, ვერაფერს გახდება, რადგან დანარჩენები ერთმუშტად შევიკვრებით.

**— ფიქრობთ, დღეს პოლიტიკურად აქტიური ხართ?**

— ეს თქვენ ფიქრობთ, რომ აქტიური არ ვარ, თორემ რას ვაკეთებ და როგორ ვმუშაობ, ეგ მე ვიცი.

**— როგორც თქვენი კაბინეტის კარზე გაკეთებული წარწერიდან მივხვდი, პარტიაში რეგიონები გაბარიათ...**

— დიახ, მაბარია ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი და ქვემო ქართლი, სადაც სვანების დასახლებაა. ყველგან მიცნობენ, პატივს მცემენ, ამიტომ სადაც ჩემს თანაპარტიელებს ვჭირდები, იქ გავყვები და გვერდით დავუდგები.

**— მოკლული ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანიც მართლა პატრიოტთა ალიანსში აპირებდა გაერთიანებას?**

— არა და არც დაფინანსებაზე ყოფილა საუბარი. ის ბიზნესმენი იყო და პირიქით, პარტია, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, მის დახმარებას აპირებდა. ბესოს სიკვდილამდე ერთი საათით ადრე შევხვდი — სამშენებლო კომპანიის გაკეთება გვქონდა გადაწყვეტილი და მთავრობასთან ჩვენი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რადგან ზოგიერთ წევრთან ახლოს იყო.

**— გამოძიებით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. ერთი ვიცი: ბესო ხარძიანი სამართლიანობის აღდგენას შეეწირა.

**— მკვლელობაში თქვენც უდესიანს ადანაშაულებთ?**

— დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში ყველაზე ნაკლებად უდესიანის ხელი ურევია, რასაც მისი მეგობრების შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავ. ვიცნობ უდესიანს, მან ჩემს გარშემო განვითარებულ მოვლენებში ძალიან ცუდი როლი ითამაშა — ტელევიზიით გამოვიდა, ჩემი განცხადებები დაგმო და სააკაშვილის მხარე დაიკავა. როცა, გიორგაძესთან ერთად, შევარდნაძისთვის ტერაქტის მოწყობის გამო დევნილი იყო, მის დებს ძმასავით ვმფარველობდი, მან კი ჩემი და ციხეში ჩასვა და 6 წელი იქ გაატარებინა. რადგან თვითონ მოღვაწეობას მის ჩამსმელებთან ერთად აგრძელებდა, გამოდის, თვითონაც „ჩამსმელი“ იყო. ისე, სხვათა შორის, ჩემმა და პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომელიც მანამდე ხელებს უკოცნიდა, შეწყალების თხოვნით მიმართა, რადგან სასამართლომ 75 000-ის გადახდა დააკისრა. მარგველაშვილმა კი შეწყალებაზე უარი უთხრა.

რაც შეეხება უდესიანს, მიუხედავად იმისა, რაც ჩემს ოჯახს გაუკეთა, ერთი რამ ნათელია: ადამიანი, რომელსაც ვიღაცასთან კონფლიქტი აქვს, ასეთ მკვლელობას არ ჩაიდენს, ან ძალიან ბრიყვი უნდა იყოს. ფაქტია, ერთმანეთს ორი სვანური ოჯახი უკვე დააჯახეს.

**— ამ პროცესში სოზარ სუბარი და ირაკლი კორძაიაც არიან ჩართულები. ეს რას ნიშნავს?**

— უკვე ჩანს, რომ მიზანი სვანების ერთმანეთთან დატაკება იყო. ამის მცდელობა კოდორშიც ჰქონდათ, ახლა, სვანების დაპირისპირებას ხარძიანის მკვლელობით ცდილობენ, ამიტომაც გამოვრიცხავ, ამ საქმეში უდესიანის როლს.

**— მეორე სარჩელის მომზადებას არ აპირებთ? — ნორა კვიციანმა მითხრა, რომ ციხეში ყოფნისას ორ სარჩელს ამზადებდით.**

— აუცილებლად შევიტან სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს სარჩელი კოდორის ხეობაში ჯარების შეყვანას შეეხება. მაშინდელი ხელისუფლება ხეობაში კანონდარღვევით შემოვიდა და კონსტიტუციის 73-ე და 100-ე მუხლები დაარღვია. ჯერ ერთი, ხეობაში საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოეცხადებინა და მეორე, სააკაშვილს ჯარის გადაადგილების უფლება არ ჰქონდა. უმაღლეს მთავარსარდალს პარლამენტისთვის უნდა მიემართა და 48 საათი მის დადგენილებას დალოდებოდა. მხოლოდ ამის მერე ჰქონდა ჯარის გადაადგილებისა და კოდორში შეყვანის უფლება. ჩემი მხრიდან მცდელობას არ დავაკლებ, რომ სამართლებრივი გზით გავიმარჯვო, თუმცა სასამართლოს დიდი იმედი არ მაქვს. თუკი ჩემი იგნორირება გაგრძელდება და არც კერძო საკუთრებას დამიბრუნებენ, მაშინ პატრიოტთა ალიანსს ვთხოვ, ჩემს სახლთან მიტინგი მოვაწყოთ და მერე უკვე შტურმზე გადავალ. ყველაფერი მაშინ დალაგდება და სამართლიანობაც აღდგება, როცა ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთ.

**— ვთქვათ „პატრიოტები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, რა თანამდებობას დაიკავებთ?**

— ასეთ პირობებში, როცა ქვეყანას სტრატეგიული პარტნიორები მართავენ, თავდაცვის მინისტრობა ნამდვილად არ მინდა, პარლამენტში შევალ, თუმცა ყველაზე მეტად მთა მომწონს.

**— ესე იგი, მთის მინისტრი იქნებით?**

— ამ პოსტზე უარს არ ვიტყოდი, მთა მიყვარს. ყველა მთიულისა და მთაში მცხოვრები ადამიანის ხასიათი და გაჭირვება ვიცი.



## შსს-ს აკადემიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ტრენინგი ჩატარდა

შსს-ს აკადემიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგზე განიხილეს მონაცემთა დამუშავების და სამართლებრივი საფუძვლების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის, საჯარო ინფორმაციის გაცემისას პერსონალური მონაცემების დაცვის, ფაილური სისტემების, მონაცემთა შენახვის ვადების და სხვა საკითხები. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ტრენინგების ციკლს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ახორციელებს. სწავლება რამდენიმე ეტაპად ჩატარდება და გადამზადდება შსს-ს ყველა დანაყოფის შესაბამისი თანამშრომელი.

*„ვერსიანიუსი“*

## ვიზიტორთა რაოდენობა, 2014 წლის ივნისთან შედარებით, 99,3 %-ით გაიზარდა




შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოგიდგენთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით, კერძოდ:

2015 წლის ივნისი 496 758 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 9,3 %-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 197 537 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3,4%);

ბ) ტრანზიტი — 131 710 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 26,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 80%);

გ) სხვა — 167 511 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 33,7%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -12%).

რაც შეეხება იანვარ-ივნისის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 2 332 303 ვიზიტი განხორციელდა, რაც 3,5%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის ივნისშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-19,8%), აზერბაიჯანიდან (+15%), სომხეთიდან (+33%), რუსეთიდან (+47%) და უკრაინიდან (-5%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ივნისშიც გამოირჩნენ ლიტვა, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ლატვია და ნიდერლანდები (შესაბამისად 27%, 26%, 22%, 18%, 13% და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან უზბეკეთი (110%) და ყაზახეთი (32%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელარუსისა და მოლდოვას მოქალაქეები 47% და 36%–იანი, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან — არაბეთის გაერთიანებული საამიროები 678%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 12%-იანი ზრდა.

*„ვერსიანიუსი“*

# სპორტის სასახლესთან „მაზავშჩიკობის ბიზნესი“ ჰყვავის?!



### ისჯება თუ არა ერთჯერადი „მაზავშჩიკობა“ — რა ინფორმაცია აქვთ ოფიციალურ უწყებებს „ფოთოლას ცოლვის ბუნაგზე“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**პარასკევ საღამოს, სამსახურის მერე, ლომბარდში წავედი... მოლარე ზერელედ მითვლის დასაბრუნებელ ხურდას, თან მეკითხება, 5-თეთრიანი ხომ არ გაქვსო. არა-მეთქი, თავაზიანად მივუგე. ჰოდა, არც მე მაქვს და შემდეგ რომ მოხვალ, დაგიბრუნებო... ამხელა ლომბარდის მოლარეს 5 თეთრზე ხომ არ ვაწუწუნებდი... ის იყო, ლომბარდიდან გამოსვლას ვაპირებდი, ჯიხურში შუახნის მამაკაცი შემოვარდა. არც დოლარის კურსი იკითხა, არც დალომბარდების პირობები. მწვანე ცელოფნიდან ბრჭყვიალა ოქროულობა სულ რახარუხით გადმოყარა. კარგი გარეგნობის კაცი იყო — მაღალი, ცისფერთვალება, შავი კლასიკური შარვალი, ტყავის წვეტიანი ფეხსაცმელი და ცისფერი პერანგი ეცვა. სანდომიანი და საქმიანი კაცის იერს ტოვებდა. ვიფიქრე, რახან ასე ფაციფუცობს, ალბათ, დიდად გაუთვალისწინებელი ამბავი შეემთხვა და ფული სასწრაფოდ დასჭირდა-მეთქი.**

მოლარე ეუბნება: — ოქროს ორ ბეჭედში, სამ „ცეპსა“ და ბრილიანტებით გაწყობილ სამაჯურში 2500 დოლარზე მეტს ვერ მოგცემთ!

— მაგდენს დინამოზეც მაძლევდნენ. ცოლის ნივთებია, ნამდვილი რუსული ოქროა და თავიდან შემიფასეთ! — პასუხობს სიმპათიური მამრი.

მოლარე შეიჭმუხნა, არ შემიძლიაო. მერე, მენეჯერს დაუძახა. დახედეს კალკულატორთან დაყრილ ძვირფასეულობას, ოქრო აწონეს და ბოლოს, დაასკვნეს: კიდევ 200 დოლარის დამატებას შევძლებთო.

მოეწონა ჯენტლმენს შეთავაზებული თანხა. მოაწერა დოკუმენტებს ხელი და ჯიხურიდან ელვის სისწრაფით გავარდა.

მე, როგორც არამკითხე მოამბე, გავყევი. ვიფიქრე, რამე შარს არ გადაეყაროს და თუ გადაეყრება, პოლიციას მაინც გამოვიძახებ-მეთქი. გასცდა ერთ შუქნიშანს, გაიარა „მზეჭაბუკი-ფოთოლა“, შეჩერდა მეორე შუქნიშანთან. გაიფერთხა შარვალი, გაისწორა „გასლიპინებული“ თმა, გადაკვეთა გზა და პირდაპირ კაზინოში შეაჭრა. დაცვამ არც კი შეხედა, ისე შეუშვა — ეტყობა, იქაურობის ხშირი სტუმარია. ძალიან გავბრაზდი.

როგორც წესი, სპორტის სასახლესთან ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც მიწევს გავლა. მახსოვს, ბავშვობაში სასტუმრო „აჭარის“ პირველ სართულზე, პეკინის მხარეს, ჩამოსასხმელი ნაყინი იყიდებოდა — მთელ ქალაქში ყველაზე გემრიელი ნაყინი იყო. სად იყო მაშინ „მაკდონალდსი“, „საბვეი“ და ასეთები... ჩემი თაობის ბავშვებისთვის ჩამოსასხმელი ნაყინიც კი ფუფუნებად ითვლებოდა. მოკლედ, ჩაგვსვამდა ხოლმე ბაბუა გაწკიპინებულ „ვოლგაში“, ჯერ ზოოპარკს მოგვატარებდა, მერე ნაყინის საჭმელად გაგვაქროლებდა. სხვათა შორის, ის ამბავი, ვასილ მჟავანაძემ ხრუშჩოვის გასაცურებლად ქათქათა მარმარილოს კიბეები შავად რომ შეაღებინა, პირველად აქ მოვისმინე. ისე, „გაცურების“ ტრადიცია აქ დღესაც აქტუალურია.

სპორტის სასახლესთან გეგონებათ, მთელი ქალაქი სამას მეტრშია ჩაკუჭულიო — ორი კაზინო, ტოტალიზატორი, სლოტ კლუბი, მეტრო, მარკეტი, სასტუმრო, „მაკდონალდსი“... ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი. აქ „გამცურებლებიც“ უხვად არიან: კაცი კაზინოში რომ წააგებს, ფიქრობს, ყველაფერი აქ არ დასრულებულა, გადავალ ტოტალიზატორში და დარჩენილი 10 ლარით 100-ს მაინც მოვიგებო. იქაც რომ წააგებს, გარეთ გამოვა, დადგება მეტროს „ბირჟასთან“ და ფიქრობს, ჯანდაბას ჩემი თავი, კაზინოსა და ტოტალიზატორში კი წავაგე, მაგრამ ხელზე „გავმაზავ“ და აქ მაინც მოვიგებო. აქაც რომ აგებს, დიდი ალბათობით, ლომბარდში გადაირბენს და რაც კი ხელზე „უბნევია“, ალომბარდებს. მერე თავიდან მიდის ბედის საცდელად, თუმცა დიდი ალბათობით, ისევ აგებს.

მოკლედ, „მაზავშჩიკები“ მეტროს მოაჯირზე არიან აყუდებულნი. ნაწილი ზის და კარტით „ყომარობს“. ვინ თქვა, თბილისში აღარ „მაზაობენო“? „მზეჭაბუკი-ფოთოლას“ დაბლა ხდება ყველაფერი ეს. ჰკითხეთ „ფოთოლას“, ჩემი თუ არ გჯერათ — ყველაფრის მომსწრეა. ისე, დავიჯეროთ, მხოლოდ ის და მეტი არავინ? აგერ, ამ წამს, ჩემს თვალწინ გადაუთვალეს ახალგაზრდა ბიჭებმა ერთმანეთს ფული. ეჭვი მაქვს, მოსწავლეები არიან. მათი დიალოგიდან ირკვევა, რომ 5 ლარით დაუწყიათ და 30-ზე ასულან. სურათის გადაღება მინდა — უბრალოდ, რომ დავაფიქსირო, რამდენნი არიან, მაგრამ ეჭვის თვალით მიყურებენ. დაბეჯითებით იმის თქმა, რომ „მაზავშჩიკობა“ თბილისში ისევ ჩვეული ამბავია, არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია: სპორტის სასახლესთან შეკრებილი ახალგაზრდები ფულზე თამაშობენ და „ერთჯერადი გატაცება“ შესაძლებელია, „საქმიანობადაც“ ექცეთ.

საქართველოს კონსტიტუციით, „მაზავშჩიკობა“ დასჯადია და თავისუფლების 1-დან 3 წლამდე აღკვეთას გულისხმობს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატმა, მიხეილ გოგაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას განმარტა, იმისთვის, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, საჭიროა გამოვლინდეს ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ საქმიანობას ორგანიზებულად და სისტემატურად ახორციელებს. ერთჯერადი „მაზავშჩიკობა“ დასჯადი არ არისო:

**„პიროვნება, რომელიც რაიმე ქმედებით იღებს შემოსავალს, აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს, როგორც მეწარმე. სხვა შემთხვევაში, ეს დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 192-მუხლით, რაც ჯარიმას ან თავისუფლების 1-3 წლამდე აღკვეთას გულისხმობს. თუ გამოიკვეთა ფაქტი, როდესაც კონკრეტული პიროვნებები ორგანიზებას უწევენ ასეთ თამაშებს. მაგალითად, ხდება ფულის განაწილება, მოგება, წაგება და რიგი საკითხების გადაწყვეტა, მაშინ ეს ითვლება უკანონო სამეწარმეო საქმიანობად, თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ ეს ერთჯერადია, დანაშაულად არ ითვლება. ვიღაცა ვიღაცას, ასე ვთქვათ, დაენიძლავება და მიიღებს რაღაც სარგებელს — ეს დანაშაული არაა. ვიმეორებ, მთავარია, ამას არ ჰქონდეს სისტემატური ხასიათი. ალბათ, გახსოვთ ცნობილი ფაქტი, როდესაც სპორტსმენები დააკავეს. მაშინ ფეხბურთის თამაშებზე ხდებოდა გარკვეული გარიგებები. ის ადამიანები ტოტალიზატორის ფუნქციას ასრულებდნენ და ამას სისტემატურად ახორციელებდნენ. ერთხელ სანაძლეოს დადება და ერთხელ თამაში არაფერს ნიშნავს“.**

ის, რომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობა კანონით დასჯადია, შსს-შიც დაგვიდასტურეს. კითხვაზე, არიან თუ არა ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ სპორტის სასახლესთან შესაძლოა „მაზავშჩიკობას“ ჰქონდეს ადგილი, განგვიმარტეს, რომ ამ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ფლობენ:

**„ამ ინფორმაციას არ ვადასტურებთ, თუ ვინმეს აქვს კონკრეტული ფაქტები, მაშინ ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სამართალდამცველებს და ისინი აუცილებლად მოახდენენ შესაბამის რეაგირებას“.**

იმედია, სამართალდამცავები ამ საკითხს შეისწავლიან და გაარკვევენ, აქვს თუ არა სპორტის სასახლესთან „მაზავშჩიკობას“ სისტემატური სახე.

# ინტერიერის დიზაინის ახალი, იტალიური შოურუმი — „გორგია პრემიუმი“ გაიხსნა

**სამშენებლო და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტმა „გორგიამ“, წერეთლის №140-ში მდებარე ფილიალში, ოთხშაბათს, 1 ივლისს, ინტერიერის დიზაინის იტალიური შოურუმი — „გორგია პრემიუმი“ გახსნა. „გორგია პრემიუმი“ მომხმარებელს იტალიური ბრენდების პროდუქციას სთავაზობს. შოურუმში ცნობილი იტალიელი დიზაინერების მიერ შერჩეული აბაზანები და სველი წერტილები, იატაკი, ფილები, ავეჯი, კარი, შპალერი, განათება და აქსესუარები წარადგინეს.**




## თქვენი ოცნების სახლი — მსოფლიოში ცნობილი ინტერიერის დიზაინერებისა და არქიტექტორების რჩევებით

„გორგია პრემიუმი“ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, რომ სახლი მსოფლიოში ცნობილი დიზაინერებისა და არქიტექტორების ნამუშევრებით გააფორმოს. „გორგია პრემიუმის“ იტალიური შოურუმი, მაქსიმალურად ერგება საშუალო და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე მომხმარებლების ინტერესებს. ეს ის კატეგორიაა, ვისთვისაც სახლის მოწყობის დროს, პროდუქციის ხარისხი და დიზაინის თანამედროვე გადაწყვეტილებებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. „გორგია პრემიუმში“ სხვადასხვა კატეგორიის მხოლოდ ევროპული ბრენდებია წარმოდგენილი, მათ შორის, აბაზანა და აბაზანის მოწყობილობები, იატაკი და ფილები, ავეჯი და სამზარეულო, კარები, შპალერი, განათება და სხვადასხვა აქსესუარები.

„გორგია პრემიუმი“ უნიკალურ შესაძლებლობას გაძლევთ, რათა თქვენი ოცნების სახლი მოიწყოთ. იტალიური შოურუმის დიზაინი მსოფლიოში ცნობილი ინტერიერის დიზაინერებისა და არქიტექტორების ძირითად კონცეფციებს ეყრდნობა და სწორედ მათი ნამუშევრებითაა გაფორმებული. „გორგია პრემიუმის“ პრეზენტაციას, საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსული, ცნობილი ევროპული ბრენდების — MARAZZI, DURAVIT, NOBILI, IBERO, GROHE-ს დიზაინერები, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ, ღონისძიება კი მუსიკალურად გიგი ვანდერმა გააფორმა.

„გორგიას“ დამფუძნებლის, **გია გორგოშაძის** განცხადებით, იტალიურ შოურუმში წარმოდგენილი მასალები, საშუალო და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე მომხმარებელზეა გათვლილი:

**„გასულ წელს, პირველად საქართველოში, „გორგიამ“ სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი გახსნა, რაც ნამდვილად ინოვაცია იყო. ერთი წლის შემდეგ, დღეს, 1 ივლისს, ახალ, „გეორგია პრემიუმ“ ხაზს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც იტალიური პრემიუმ ხაზის შოურუმია და ისიც წერეთლის №140-ში განთავსდება. აქ წარმოდგენილი პროდუქციის 95%-ის მომწოდებლები, განსაკუთრებული და ექსკლუზიური იტალიური ბრენდები არიან და ესაა გამორჩეული იტალიელი დიზაინერების მიერ შერჩეული პროდუქცია. განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ, როგორ ხარისხზე, ასევე პრემიუმ მომსახურებაზე. „გორგია პრემიუმი“ შეკვეთებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მიიღებს და უმოკლეს ვადებში მიაწვდის მომხმარებლებს“.**

ღონისძიებაზე, ცნობილი იტალიური კომპანია MAGIS-ის წარმომადგენელმა, ლუიზა ბატისტამ, „გორგია პრემიუმის“ იღბლიანი გამარჯვებული გამოავლინა, რომელსაც რომის მიმართულებით, ორკაციანი საგზური გადასცეს. „გორგია პრემიუმის“ პრიზის მფლობელი 11 წლის ლიზი გუგეშაშვილია, რომელიც დიზაინერ ლალი შაშიაშვილის შვილია. მას შემდეგ, რაც პატარა გამარჯვებული რომის საგზურით დააჯილდოვეს და „გორგიას“ წარმომადგენლებმა მასთან სამახსოვრო ფოტო გადაიღეს, ლიზი გუგეშაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ რომში დედასთან ერთად გაემგზავრება.

სამშენებლო და სარემონტო მასალების კომპანია „გორგია“, საქართველოს ბაზარზე 1998 წლიდან ფუნქციონირებს. 2014 წელს, კომპანიამ პირველი ჰიპერმარკეტი გახსნა და ამჟამად, საქართველოს მასშტაბით, სამ მაღაზიას აერთიანებს.

**„შექმენით იდეალური სივრცე უახლესი ტექნოლოგიების კერამიკული ფილებით; მეტი ინდივიდუალურობა, მეტი კომფორტი; ელეგანტური, დახვეწილი და სრულყოფილი დიზაინი მაქსიმალური კომფორტისთვის; აღმოაჩინე სრულყოფილი სამყარო“,** — ეს „გორგია პრემიუმის“ იტალიურ შოურუმში წარმოდგენილი ცნობილი ბრენდების ძირითადი სლოგანებია. მართლაც, „გორგია პრემიუმის“ შოურუმში ახალი, ორიგინალური და განსხვავებული მიდგომების მრავალფეროვნება დაგხვდებათ. აქ ყოველთვის იპოვით თქვენთვის შესაფერისს, იდეალურ იდეას, თუ როგორ განაახლოთ და მოაწყოთ თქვენი სახლის ინტერიერი, უახლესი და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

*მაია მიშელაძე*



მაია მიშელაძე
593-51-90-12

# გმირთა მოედანზე ეპიდემიის საშიშროებაა!

## 13 ივნისის სტიქიით დაზარალებული რესტორანი „მატრიოშკა“, „ვაკის ხორცპროდუქტები“ და „ელიზი“ ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ!

**13-14 ივნისს, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად რამდენიმე ბიზნესმენიც დაზარალდა. სვანიძის ქუჩაზე, რომელიც თბილისის ტრაგედიის ეპიცენტრი იყო, „ვაკის ხორცპროდუქტების“ ქარხანა და სადისტრიბუციო კომპანია „ელიზის“ სიგარეტების 5 საწყობი დაიტბორა. სტიქიამ გმირთა მოედანთან, ცირკის ქვემოთ მდებარე რესტორანი „მატრიოშკაც“ სერიოზულად დააზიანა. რა თქმა უნდა, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება ხელისუფლების მთავარი საზრუნავია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ უყურადღებოდ არც კერძო ბიზნესი უნდა დარჩეს.**

ამ ეტაპზე უცნობია, სტიქიით რა რაოდენობის ზარალი მიადგა „ვაკის ხორცპროდუქტების“ საწარმოს, მაგრამ კომპანიის წარმომადგენლების უხეში გათვლით, ფინანსური დანაკარგი (ნედლეულისა და პროდუქციის ჩათვლით) 2-3 მილიონ ლარს აღწევს.

„ვერსია“ „ვაკის ხორცპროდუქტების“ ხელმძღვანელს, **თამაზ მეზურნიშვილს** ესაუბრება:

**— ბატონო თამაზ, ამ ტრაგედიის შემდეგ, თბილისის მერიამ დახმარება შემოგთავაზათ?**

— როგორ არა, თბილისის მერია გვერდში გვიდგას და მათი თანამშრომლები ყოველდღე მუშაობენ. ქარხნის ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკა შემოიყვანეს და მუშებიც დაუღალავად შრომობენ, რათა ტერიტორია ტალახისგან გაწმინდონ. ტერიტორიის დასუფთავებაში მერიის დასუფთავების სამსახურიც გვეხმარება.

**— საწარმოში, კონკრეტულად, რა ტექნიკური საშუალებები დაზიანდა?**

— უცხოური დანადგარები. სპეციალისტები მოვიწვიეთ, რომლებიც ამ ტექნიკა-დანადგარებს შეისწავლიან და გავიგებთ, აღდგენა შეიძლება თუ არა. სამწუხაროდ, სტიქიამ საწარმო მთლიანად გაანადგურა.

**— ქარხანა დაზღვეული იყო?**

— ქარხანა არა, მაგრამ დაზღვეული „ვაკის ხორცპროდუქტების“ საწარმოს სარეალიზაციო მანქანები იყო. რამდენიმე მანქანა დავკარგეთ — წყალმა წაიღო და არსად ჩანს. ახალი მანქანებიც გვქონდა, რომლებიც ასევე დაზღვეული იყო. ვმუშაობთ, რათა დაზღვევის თანხა სრულად მივიღოთ. მართალია, სარეალიზაციო მანქანების დაზღვევის თანხას აგვინაზღაურებენ, მაგრამ ეს უმნიშვნელო ზარალია იმასთან შედარებით, რაც სტიქიით ქარხანას მიადგა. მთავარია, ხელისუფლება გვერდში დაგვიდგეს, რომ „ვაკის ხორცპროდუქტების“ საწარმო აღვადგინოთ.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება დასახმარებლად მზადაა?**

— ჯერ არაფერი ვიცი. რამდენიმე დღეში გაირკვევა, რა დახმარებას გაიღებს მთავრობა ამ მართლაც უნიკალური საწარმოს აღსადგენად, რომელიც 1961 წლიდან ფუნქციონირებს. თავისი პროდუქციით, „ვაკის ხორცპროდუქტების“ საწარმო, სადაც 200 ადამიანი იყო დასაქმებული, მთელ ქალაქს კვებავდა. ამ 200 ადამიანის უკან, მინიმუმ, თითო ოთხსულიანი ოჯახი დგას, ჩათვალეთ, რომ ეს 800 ადამიანი სწორედ ჩვენი საწარმოს საშუალებით საზრდოობდა. დღეს ყველაფერი გაჩერდა, აღდგენას კი სერიოზული თანხა სჭირდება. არ მინდა, ამ ქალაქში ჩვენი ქარხნის სამუშაო ტრადიცია და „ვაკის ხორცპროდუქტების“ მიერ გამოშვებული პროდუქციის გემო დაიკარგოს. ვფიქრობ, ხელისუფლება უყურადღებოდ არ დაგვტოვებს და საწარმოს აღდგენაში დაგვეხმარება.

**— ქარხნის ლილოში გადატანის შემდეგ, სამუშაოს რამდენი ადამიანი დაუბრუნდა?**

— ლილოში 15-მდე ადამიანი მუშაობს და შესაბამისად, პროდუქციის მესამედსაც კი ვერ ვუშვებთ, რასაც ჩვეულებრივ, ვაწარმოებდით. ტრაგედიამდე კი, დღეში 30 ტონამდე პროდუქციის რეალიზაციას ვახდენდით. დიდი ხანია, ამ ქარხანაში ვმუშაობ და სტიქიის შედეგად ისე დაზიანდა, აქაურობას თვალცრემლიანი ვუყურებ.

**— თუ ხელისუფლება საწარმოს აღდგენაში დაგეხმარებათ, საქმიანობას ისევ სვანიძის ქუჩაზე განაგრძობთ თუ სხვაგან გადახვალთ?**

— ვფიქრობ, ისევ აქ, სვანიძის ქუჩაზე უნდა აღდგეს. ამ საწარმოს ფართი 4 300 კვ.მ-ია, რომელიც ისევ მყარად დგას, თუმცა ჯერ ექსპერტები უნდა მოვიდნენ, მდგომარეობა შეაფასონ და შესაბამისი დასკვნაც მოამზადონ. ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია.

**13-14 ივნისის სტიქიას ვერც რესტორანი „მატრიოშკა“ გადაურჩა, რომელიც გმირთა მოედანთან მდებარეობს — რესტორნის ზარალი, მართლაც, უმძიმესია, რადგან სტიქიამ არა მარტო „მატრიოშკა“ დააზარალა, ერთ-ერთი თანამშრომლის სიცოცხლეც შეიწირა. „ვერსიას“ რესტორან „მატრიოშკას“ დირექტორი და მენეჯერი, მანანა ლომიშვილი ესაუბრება:**

— 13 ივნისის ღამეს, რესტორანში წყალი ოთხივე მხრიდან შემოვარდა — გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელიდან, ცირკის ზემოდან, „მატრიოშკაში“ შემომავალი გზიდან და რესტორნის უკანა ეზოდან. მართალია, რკინის კარი, პატარ-პატარა ფანჯრები და საჰაეროებიც დაკეტილი იყო, მაგრამ ხომ გახსოვთ, ძლიერი წვიმა მოვიდა და წყალი ყველა მხრიდან შემოგვივარდა. სამწუხაროდ, ჩვენი თანამშრომელი გარდაიცვალა, რომელიც სავარაუდოდ, ჩანთის ასაღებად ჩავიდა რესტორნის ქვედა სართულზე, სადაც გასახდელი, კაბინეტები, სამზარეულო, საწყობები და კომპიუტერული ტექნიკა იყო განთავსებული. ზედა სართულზე მხოლოდ დარბაზია, სადაც სტუმრებს ვიღებთ. სტიქიის შემდეგ, კომუნიკაცია — გაზი, წყალი, დენი, მოიშალა.

**— ქალბატონო მანანა, ახლა მთავარი პრობლემა რა არის?**

— ჩვენი ძალებით მხოლოდ რესტორნის დარბაზის დალაგება შევძელით, მესამე თუ მეოთხე დღეს, სახანძრო მანქანაც მოგვეხმარა. ამას პრეტენზიის ტონით არ ვამბობ, რადგან კარგად მესმის, რა ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ ცირკსა და „მატრიოშკას“ შორის მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელი წყლითაა სავსე და ჩახერგილია. კერძო მანქანა დავიქირავეთ და როგორც კი წყლის ამოტუმბვა დავიწყეთ, მთელი წყალი და ლაფი, რომლითაც გვირაბი იყო სავსე, ჩვენთან შემოვიდა, რამაც სერიოზული საფრთხე შეგვიქმნა. რაც მთავარია, ფიზიკურადაც ვერ შევძელით, წყლის ამხელა მასა მხოლოდ ჩვენი ძალებით ამოგვეტუმბა. სწორედ ამიტომ ვერ გამოვიტანეთ პროდუქტი რესტორნიდან, რის გამოც ეპიდემიის საშიშროება იქმნება.

**— დასახმარებლად არავის მიმართეთ?**

— რა თქმა უნდა, მივმართეთ, 112-სა და დასუფთავების სამსახურში ვრეკავდით და გვპასუხობდნენ, რომ ზოოპარკში, მზიურსა და ვარაზის ხევში სერიოზული პრობლემები იყო. ყველაფერი კარგად მესმის და ვიმეორებ, პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ერთი ან ორი მანქანის გამოყოფა შეიძლებოდა, რომელიც რესტორნის გარეთა პერიმეტრს გაწმენდდა. მხოლოდ ახლა გამოგვიყვეს მანქანა და ტერიტორიის დასუფთავება დაიწყეს, მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი მდგომარეობაა, მუშებიც ველარ შედიან, რადგან ორი კვირაა, რესტორანი გაფუჭებული პროდუქტითაა სავსე და ვერ გამოგვაქვს, მუშებს კი ამ ტიპის სამუშაოებისთვის სპეციალური ტანსაცმელი სჭირდებათ. ერთადერთი უწყება, რომელმაც ყურადღება მოგვაქცია, სურსათის ეროვნული სააგენტო იყო და ვფიქრობ, ტექნიკაც სწორედ მას შემდეგ გამოგიყვეს, რაც ეს სამსახური ჩვენი პრობლემებით დაინტერესდა. ისიც ვიცით, რომ ამ დღეებში, დასუფთავების სამსახურიც დაგვახმარს 15 ადამიანს, რომელსაც სპეცტანსაცმელს მოუტანენ და სამუშაოებს გააგრძელებენ. რაც შეეხება გაფუჭებული პროდუქტის განადგურებას, ეს უშუალოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა, რათა ეპიდემია არ გავრცელდეს.

**— ზარალი უკვე დაითვალეთ?**

— ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ ერთი წელია, რაც ამ რესტორანს ვამუშავებ — ამორტიზებული იყო და ხელის შევლება სჭირდებოდა. ამ სამუშაოებისთვის, პირადად მე, 80 000 ლარამდე დავხარჯე, ამას ჩემი ავტომობილის ხარჯიც ემატება, რომელიც სამწუხაროდ, არ დამიზღვევია. გარდა ამისა, რესტორნის მფლობელებმაც (შპს „რუსული რესტორანი“) საკმაოდ დიდი თანხა ჩადეს, რადგან „მატრიოშკას“ უახლესი ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი, უზარმაზარი სამზარეულო ჰქონდა. იმის გამო, რომ ორი კვირაა, რესტორანი წყალსა და ლაფშია, ვფიქრობ, საძირკველში გეოლოგიური სამუშაოებიც დაგვჭირდება, ყველაფერი ეს კი, ჯამში, საკმაოდ დიდ თანხას უკავშირდება.

პატიმარი №0578

# აფხაზეთის ომის გმირმა 4 წლის ბავშვი მოკლა!

## შოკისმომგვრელი ტრაგედია სიონის წყალსაცავზე



**ძველებს უთქვამთ, „ყველა ბედნიერი ადამიანი ბედნიერია ერთნაირად, ხოლო ყველა უბედური, თავისებურად არის უბედურიო“. ბოლომდე ასე არაა, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, დაახლოებით, ასე იყო: ყველა ნარკომანი, პრაქტიკულად, ერთნაირად აზროვნებდა და ერთნაირად იყო ბედნიერი, როცა იმ დროს იხსენებდა, თავისუფლებაზე წამალს რომ იკეთებდა. ყველა მკვლელს კი თავისი მიზეზი ჰქონდა მკვლელობის. შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ თუ თვალებში ჩახედავთ, მკვლელებს ზონაზე აუცილებლად იცნობთ. რაღაც ისეთი სახე აქვთ: ცოტა დამფრთხალი, ცოტა ჩაფიქრებული, ცოტა სევდიანი და ჯამში, ამ ცოტ-ცოტაობით ის თვალები ყალიბდება, რომელიც შეიძლება, მხოლოდ მკვლელს ჰქონდეს.**

ვის არ ნახავთ ზონაზე: ცოლის მკვლელს, ძმაკაცის მკვლელს, ისე, ვიღაც უცნობის მკვლელს... დედის მკვლელებიც არიან, სიძის მკვლელები — ალბათ, ყველაზე მეტი, მაგრამ ოთხი წლის ბავშვის მკვლელი ერთადერთი იყო. რამაზ ბ. საქათმეში ცხოვრობდა, თუმცა იმდენად საინტერესო ისტორია ჰქონდა, რომ ბოლომდე ყველაფერი მაყურებლებმაც არ იცოდნენ. თავიდან ანუ ოთხი წელი რამაზი ჩვეულებრივ, რიგით პატიმრებში იხდიდა სასჯელს, მერე მუხლი შეუცვალეს, გაუფრთხილებლობით მკვლელობა განზრახ მკვლელობად გადაუკვალიფიცირეს, დამამძიმებელი გარემოებაც დაურთეს და შვიდის ნაცვლად, 25 წელი მიარჭვეს. სწორედ ამის შემდეგ გადაინაცვლა „საქათმეში“ და როგორც ამბობდნენ, არც გაუპროტესტებია. არადა, ზონაზე პატიმრები იყვნენ, რომლებიც რამაზზე საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ, აფხაზეთში ჩვენთან ერთად იბრძოდა და ბრძოლაში ნამდვილი ლომი იყოო. ჰოდა, ეს ლომი ახლა ზონაზე რიგით ქათმად იყო ქცეული...

„ეგ ცოცხი ავტომატი ხომ არ გგონია, უნიათოდ რომ იშვერ აქეთ-იქეთ. კარგად გამოუსვი, აქ „არესტანტები“ ცხოვრობენ, ბიჭო“, — გაგა იმ კამერის ბინადარი იყო, რომელსაც რამაზი ალაგებდა.

„ავტომატი უნიათოდ არასდროს მჭერია“, — ჩუმად თქვა რამაზმა და დაგვა გააგრძელა.

„რა, ბიჭო? გამომივიდა ესეც აქ რემბო. გამოხვეტე-მეთქი, რომ გეუბნები ნორმალურად, თორემ მაგ ცოცხს ტრაკში გაგიკეთებ“, — შეუტია გაგამ.

რამაზი წელში გასწორდა, ცოცხი იატაკზე დააგდო, გაგას ჯიქურ შეხედა და ერთადერთი ფრაზა უთხრა: „აბა, გამიკეთე!“

გაგა დაიბნა, რამაზის მზერას ვერ გაუძლო და შურდულივით გავარდა კამერიდან. გაგა მაყურებლებთან გაიქცა, „ქათამი“ მებლატავებაო და მაყურებლები მის კამერაში ავიდნენ. მათთან ერთად პატიმარი №0578-იც იყო, რომელიც ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო.

„ბევრი ჩეფირი ხომ არ დალიე, ბლატაობის „მულამზე“ რომ ხარ?!“ — შეუტია მაყურებელმა.

„პატარა ბიჭია ეგ თქვენი გაგა, წაცდება ხოლმე საუბარში რაღაცები და ვცდილობ, გავუსწორო“, — მშვიდად თქვა რამაზმა.

„შენ ვის რა უნდა გაუსწორო, შე „ქათამო?!“ — დიდ გულზე იყო გაგა, თუმცა...

„შენ კამერაში რისთვის იყავი?!“ — მოულოდნელად ჰკითხა გაგას №0578-მა.

„როგორ თუ რისთვის? „ქათამი“ ალაგებდა და ხელით რომ არ შეხებოდა ან ონკანს ან მაგიდას... მაგდენიც არ იცი?!“ — ახლა №0578-ს შეუტია გაგამ.

„არა, გაგა, სად ვიცი მე ეგ თემები და... თავქუდმოგლეჯილი რომ გამოიქეცი მაყურებლებთან, იქიდან რომ ამოვედით და ოთახში მარტო ეს კაცი დაგვხვდა, ეგ საქმე როგორ არის? მარტო დატოვე „ქათამი“ კამერაში და ახლა კაცმა არ იცის, ონკანს მოკიდა ხელი, მაგიდას თუ შენს ნარზე იკოტრიალა? ასე არ არის, პატივცემულებო?!“ — მაყურებლებს მიუბრუნდა №0578.

გაგა გაფითრდა, მაყურებელს გაეღიმა, რამაზს შეხედა, იმან, უარყოფის ნიშნად, თავი ოდნავ გააქნია თავი და... მაყურებლები კამერიდან უხმოდ გავიდნენ. რამაზმა №0578-ს გზაში დააწია: „რომელ კამერაში ცხოვრობ“ და პასუხი რომ მიიღო, დალაგება განაგრძო.

ერთი კვირის შემდეგ, რამაზი №0578-ს კამერაში გამოჩნდა და მშვიდად შეუდგა დაგვას. პატიმარმა თანასაკნელებს ანიშნა, მარტო დაგვტოვეთო და ისინიც მაშინვე გავიდნენ.

„რამაზ, იცი, რა მაინტერესებს? თითქოს „დასტოინად“ იქცევი, თითქოს კარგი ტიპი ხარ, თითქოს არ გეშლება და... მართალია, 4 წლის ბავშვის მკვლელობა დაუმტკიცესო? პათოლოგი ხარ სიმთვრალეში თუ, უბრალოდ, მანიაკი?“ — ჰკითხა №0578-მა.

რამაზს ხელი აუკანკალდა, ცოცხი დაგდო და გასვლა დააპირა, თუმცა №0578-მა შეაჩერა, თუ მოყოლა არ გინდა, ხმას ნუ ამოიღებ, დაალაგე და წადიო. რამაზმაც უხმოდ დაალაგა, გასამრჯელოდ მისაღები ერთი კოლოფი სიგარეტი არ გამოართვა და ისე გავიდა კამერიდან.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ, რამაზი კვლავ გამოჩნდა, კვლავ დაიწყო კამერის დაგვა და როცა №0578-თან მარტო დარჩა, ჩუმად თქვა: „შურისძიება იყო ეგ... ჩემი შურისძიება“.

„რა იყო, რამაზ, შურისძიება? 4 წლის ბავშვის მოკვლა?“ — გაოცდა №0578.

„შენ არ იცი... არაფერი იცი და არავინ იცის... და მაგიტომ ამბობ“, — გაბრაზებით თქვა რამაზმა.

„მერე მოყევი და „საქათმიდან“ შენს გამოყვანას აზრი არ აქვს, არც ერთი კამერა აღარ მიგიღებს მაინც, მაგრამ 4 წლის ბავშვის მკვლელობის საქმეს თუ ჩამოირეცხავ, ეგეც მიღწევა იქნება, დამიჯერე“, — უთხრა №0578-მა.

„აფხაზეთის ომში ერთი თბილისელი ბიჭი გავიცანი, თემო ერქვა. სულ ერთად ვიყავით, ზღვაშიც ერთად ვბანაობდით... ზურგზე დიდი, შავი ხალი ჰქონდა, გასაშლელ დანას ჰგავდა და დავცინოდი ხოლმე, იარაღი სულ ტანზე გაქვს-თქო. თბილისში საცოლე მელოდებოდა, თემომაც იცოდა ეს ამბავი. მოკლედ, ისე მოხდა, რომ სერიოზულ ცეცხლში მოვყევით. ჩემი თვალით დავინახე, როგორ მოხვდა თემოს ორი ტყვია მუცელში და სანამ რამეს გავიაზრებდი, მეც დამჭრეს. აზრზე აფხაზების ჰოსპიტალში მოვედი. მომიარეს, მაგრამ ახლა რომ ჯანზე ვარ, მაშინ ამაზე ორჯერ მეტ ჯანზე ვიყავი. მიმკურნალეს და სადღაც, მიწის ქვეშ მამუშავებდნენ. მიწისქვეშა ქალაქიაო, ხომ ამბობენ, აფხაზეთშიო და... ქალაქის რა გითხრა, მაგრამ დაბა ნამდვილად იქნება. ასე ვიმუშავე შვიდი წელი და მერე... გაგეცინება, ახლა რასაც გეტყვი: გაირკვა, რომ იმ ქალაქის შეფი ჩემი კურსელი აფხაზი იყო. მიცნო და როცა მივხვდი, ვინც იყო, მეც გამიხარდა. რადგანაც ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი არ მითქვამს, სიებში ვერანაირად მიპოვიდა. არადა, თურმე, ჩემები სწორედ მას ეხვეწებოდნენ, მიცვალებული მაინც გვატირეო... ასე დავბრუნდი საქართველოში, ყველაფრის გარეშე. დედა გარდაცვლილი დამხვდა, ჩემზე ნერვიულობას გადაჰყვა, მამა გალოთებული, და და სიძე სოფლად იყვნენ წასულები გაჭირვების გამო და რაც მთავარია, ჩემი საცოლე იყო ჩემი უბნიდან გადასული. მოვიკითხე მეგობრებში და მითხრეს, ევროპაში წავიდა თითქმის ხუთი წელიაო.

რა უნდა მექნა? იმისმა მშობლებმა დამიმალეს ყველაფერი, გათხოვდა და შეეშვიო. ვერ შევეშვი და როგორც იქნა, ვიპოვე. ველაპარაკე კიდეც და, ჩამოვდივარ ორ კვირაშიო, მითხრა. მართლა ჩამოვიდა, აეროპორტში დავხვდი, ის გოგონა ჩამოჰყვა, თავისი შვილი. ზაფხული იყო და ვუთხარი, თქვენი მძღოლი ვარ, სადაც გინდათ, იქ წაგიყვანთ-თქო. შევეგუე იმას, რომ გათხოვდა, ქმარი ევროპაში დარჩა, მუშაობს და ჩვენც ორ კვირაში უნდა დავბრუნდეთო, — ამიხსნა. სიონის წყალსაცავზე ავიყვანე მეორე დღეს და დედა წყალში გადაეშვა, ბავშვს მიხედეო. პატარას ცხელოდა, გავხადე და ზურგზე დიდი, შავი ხალი დავუნახე, გასაშლელ დანას ჰგავდა... ვკითხე, ეს რა არის-მეთქი და მამიკოსაც აქვსო. მამიკოს თემო რომ ერქვა, კი ვიცოდი, მაგრამ რას ვიფიქრებდი... გონზე რომ მოვედი, ბავშვის უსულო სხეული მესვენა ხელებზე და დედამისის კივილი ჩამესმოდა“, — დაასრულა რამაზმა.

„მოიცა, კაცო, გაუფრთხილებლობით მკვლელობა როგორღა მოგცეს, ნუ გადამრიე?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„იმ აფხაზმა ძმაკაცმა ვიღაც ებრაელი ადვოკატი მოიყვანა. სასამართლო მართლა ბუნდოვნად მახსოვს, ის ადვოკატი ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაზე აკეთებდა აქცენტს, ვიღაც ტიპი ნახა, რომელმაც დაადასტურა, რომ იმ დღეს ნადირობდა, რამდენჯერმე ისროლა და ამ სროლის ხმაზე მე ფსიქოლოგიურად მოვიშალე და ა.შ. ალბათ, ფულიც გადაიხადეს, არ ვიცი“, — ახსნა რამაზმა.

„და მერე რა მოხდა, რომ გადააკვალიფიცირეს?!“ — ისევ დაინტერესდა №0578.

„არაფერი, თემო ჩამოვიდა, ზონაზე მოვიდა ჩემს სანახავად და მითხრა, ვიცოდი, შენი საცოლე რომ იყო, მაგრამ მკვდარი გვეგონეო. მეორედ მაშინ გადამეკეტა და ყველაფერი მივახალე, როგორც იყო. ამას გვერდითა ოთახში პატიმრის დასაკითხად მოსული პროკურორები ისმენდნენ და საქმე ახლიდან დაატრიალეს. მაინც უკვე სულ ერთი იყო“, — დაასრულა მონოლოგი რამაზმა.

„რამაზ... ყველაფერი მესმის, მაგრამ... 4 წლის ბავშვმა, რომელმაც საერთოდ არაფერი დაგიშავა... ჩათვალე, მაგ ბავშვმა დაგსაჯა ახლა საქათმით... ჩემი ნება რომ იყოს, გესროდი კიდეც... თემო რომ მოგეკლა, საცოლე... კიდევ გავიგებდი... ან იმათ რას ერჩოდი, შვიდი წელი თუ არ ჩანდი და შენებმაც კი გამოგიგლოვეს? მაგრამ ბავშვი... მოსაკლავი ხარ“, — კბილებში გამოსცრა №0578-მა.

„ვიცი, რომ მოსაკლავი ვარ“, — ჩუმად თქვა რამაზმა და კამერის დასუფთავება განაგრძო.

ვერსიანიუსი

## სამართალდამცავებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს




შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, 1988 წელს დაბადებული გივი დ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ბრალდებით ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 13 შეკვრად დაფასოებული 2,9054 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 2,0294 გრ ჰეროინს შეიცავს. ბათუმში, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ამოღებულია 1 ძირი კანაფი, რომლის წონა 67,43 გრამია. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 265-ის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

## თაღლითობის მცდელობისთვის ერთი პირი დააკავეს



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რამაზ ა. თაღლითობის მცდელობის ბრალდებით ზუგდიდში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული იძულებით გადაადგილებულ პირს — ლოლიტა ბ-ს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან ბინის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა და სანაცვლოდ მოსთხოვა 2000 ლარი, ხოლო წინასწარ გამოართვა 250 ლარი.

სამართალდამცველებმა რამაზ ა. თანხის გამორთმევის ფაქტზე დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას თაღლითური გზით აღებული ფული — 250 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება მიმდინარეობს თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

ბიძინა გოგოლაძე

# „ვაშა, ჩვენს მოთმინებას! ვაშა, ჩვენს მამულიშვილობას და უკვე ავადმყოფურ გულგრილობას!“




**და მოვლენები განვითარდა ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ყველასგან და, პირველ რიგში დასავლეთისგან, ე.წ. სტრატეგიული პარტნიორებისაგან მიტოვებულ და მოტყუებულ საქართველოს თავს დაატყდა უბედურება, რის შესახებაც ბოლო წლების განმავლობაში ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი აფრთხილებდა ქვეყნის ხელისუფლებას. აფრთხილებდა და განგაშის ზარებს სცემდა, მაგრამ მათ ეს შეგონება ყურად არ იღეს. შედეგად კი მივიღეთ ქვეყნის ნგრევა, დაშლა და გაპარტახება. დიახ, ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა როგორც საქართველო, შეიძლება ითქვას, განადგურდა. დარჩა გეოგრაფიული სახელწოდება!**

გაინტერესებთ, რაზეა საუბარი?

შერხანის მოიმედედ და ტურა ტაბაკის დღეში მყოფმა საქართველოს მთავრობამ, ვერა და ვერ შეიგნო, რომ ეს დღეც დადგებოდა. არადა, რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფ ქვეყანას, რომელიც გარემოცული იყო მტრული ქვეყნებით, საფრთხე თანდათან უახლოვდებოდა. ბოლო წლების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს სიახლოვეს განვითარებულმა მოვლენებმა, არაბულ ქვეყნებში მომხდარმა ,,რევოლუციებმა“, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებამ და ბოლოს, ისლამური სახელმწიფოს შექმნამ, ნორმალურად მოაზროვნე პოლიტიკოსისათვის (და არა გენიოსისათვის) ადვილად დასანახმა საფრთხემაც, ვერ გამოაფხიზლა ქართული ,,პოლიტიკური ელიტა“!

უბედურება ერთბაშად მოვიდა! აშშ-ს და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მიერ პროვოცირებულმა, მათი ხელშეწყობით ჩასახულმა ისლამურმა სახელმწიფომ ერთბაშად იმძლავრა. ბოთლიდან გამოშვებულმა ჯინმა სწრაფად იწყო აღზევება. აგორებულმა ტალღამ წალეკა მეზობელი ქვეყნები. ტალღა ჩრდილოეთსაც მისწვდა, გადაქელა თურქეთისა და ირანის საზღვრები და კავკასიას ეკვეთა. ხალიფატის შემქმნელებს გულით ეწადათ კავკასიის მარგალიტი საქართველო თავიანთ საზღვრებში ეხილათ!..

ძალიან ძნელია, 21-ე საუკუნეში, ე.წ. ცივილიზაციის ეპოქაში წარმოიდგინო და აღწერო ყველაფერი ის, რაც თავს დაატყდა ქართულ სახელმწიფოს. ნუთუ, მურვან ყრუ დაბრუნდა?!.. საშინელი, ველური, დაუნდობელი და სისხლს მოწყურებული ძალა შეესია საქართველოს. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთბაშად მოვარდნილი ეს ბარბაროსული ურდო საშინელი გაშმაგებით მოედო ქვეყანას. პირველივე დღეებში დედაქალაქს, თბილისს შეესივნენ!.. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანა მოუმზადებელი დახვდა ასეთ შემოტევას. სრული ქაოსი, დემორალიზაცია და პანიკა. აი, პასუხი ამ საშინელი და ღვარცოფივით მოვარდნილი ძალის წინაშე. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ვიღას ახსოვდა ხალხი, საბრალო ქართველობა, პირისპირ დარჩა გამხეცებული, დუჟმორეული ბანდების წინაშე. საბოლოოდ გაშიშვლდა ,,ერის მამების“ სახეც. როგორც შეეძლოთ, რითიც შეეძლოთ, სასწრაფოდ დატოვეს ქვეყანა და წლების განმავლობაში ნატანჯი, მოტყუებული მოსახლეობა უპატრონოდ მიატოვეს აწ უკვე ჯოჯოხეთად გადაქცეულ საკუთარ ქვეყანაში...

თავს დამტყდარი საშინელებისაგან გაოგნებული და შოკირებული ქართველობა, ალბათ, კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, თუ რეალურ ცხოვრებაში ასეთ რამეს მოესწრებოდა და შუასაუკუნეების მსგავს უბედურ დღეში ჩავარდებოდა!

წარმოიდგინეთ: ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკანი, აფეთქებების ხმა, ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული. შეძრწუნებული მოქალაქეები უაზრო სახეებით, დაშოკილები დარბიან და შინაურების და საკუთარი თავების გადარჩენას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. უნდა გაჩვენათ, მომხდურთა ველურად აღტაცებული სახეები — საქართველო, თბილისი, ქართული მიწა, მისი ჯერ კიდევ ჯიშიანი და ლამაზი ხალხი... მსუყე ლუკმა ჩაიგდეს ხელში. მოლოდინმა სავსებით გაამართლა... უმდიდრესი და ბარაქიანი ალაფი იგდეს ხელთ. თვალები გაურბით, ნაძარცვი იმდენია, დაბინავებას ვერ აუდიან. საშოვარი იმდენია, გაყოფაც არ სჭირდებათ. და მაინც, ყველაზე მთავარი ხალხია, მოსახლეობა, ლამაზი გოგო-ბიჭები. სამხრეთში ასეთი რამ არც უნახავთ. ატყვევებენ, იტაცებენ, ,,საქონლის“ სიუხვით გადარეულნი ადგილზე ხდიან ნამუსს და ველური სიშმაგით ნთქავენ ყველაფერს... ერთ კვირაზე მეტია, დაძრწიან. გადაწვეს და დაანგრიეს ქრისტიანული სიწმინდეები. სასულიერო პირებს ხვრეტენ და თავებს კვეთენ. ქუჩაშივე კლავენ მოხუცებს და ასაკოვნებს. ახალგაზრდებს მონებად მიერეკებიან. კვლავ განმეორდა ათასი წლის წინანდელი ამბები მეტეხის ხიდზე, მაგრამ ამჯერად მტკვარი წითლად არ შეღებილა?!.

როგორც ყოველთვის, დასავლეთი ამჯერადაც ,,მწვავედ“ გამოეხმაურა მომხდარს. ,,შეშფოთებულნი“ არიან და გმობენ ყოველივეს!..

უბედურებას გადარჩენილი ქართველთა ნაწილი თავს აფარებს მიუვალ მთებს და ისტორიულ სამალავებს... ქვეყანა ფაქტიურად განადგურდა!.. უფალო, გადმოხედე ბედკრულ ქვეყანას!..

რაო? ხომ არ გაგაოგნეთ! დაწყნარდით, ძვირფასო ქართველებო! ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია მოხდეს, თუ არ გამოვფხიზლდით! თუ საღი გონებით არ შევხედეთ არსებულ მდგომარეობას! თუ ვერ გავარჩევთ მტერს და მოყვარეს და ვერ გავარკვევთ, ვის გვერდით ან ვის ბანაკში უნდა ვიდგეთ! სრულიად მარტონი, უმწეონი აღმოვჩნდებით ანალოგიურად სასტიკი და დაუნდობელი ძალის წინაშე და ეს რომ არ მოხდეს, პირველ რიგში, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან უნდა ვიმეზობლოთ. თავი უნდა დავანებოთ ველოსიპედის ახლად გამოგონებას და ჩვენი ღირსეული წინაპრების უკვე გაკვალულ გზას გავუყვეთ! მანამ ჯერ კიდევ ე.წ. დამოუკიდებელი ქვეყანა გვქვია, ჯერ დრო კიდევ გვაქვს! გვაქვს შანსი, ღირსეული, პარტნიორული ურთიერთობა დავამყაროთ სახელმწიფოსთან, რომელთანაც ბევრი საერთო რამ გვაკავშირებდა და გვაკავშირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აი, მაშინ კი, არა ღირსეულად, არამედ მუხლებზე და მუცელზე ხოხვით მოგვიწევს დახმარებაზე ძახილი. წაქცეულს და დაჩოქილს კი, როგორც ღებულობენ, კარგად მოგეხსენებათ.

ერთი წლის წინ გამოვაქვეყნე სტატია, სადაც ვწერდი (გაცილებით ადრე, ვიდრე სხვები, ,,აღიარებული“ პოლიტიკოსები და ე.წ. ექსპერტები და ,,ცნობადი სახეები“ იტყოდნენ), რომ მთავრობა უნიათო, უუნარო და არაფრის გამკეთებელია-მეთქი. თურმე, ვცდებოდი, არ ვიყავი მართალი. არა, ბატონებო, ასე არაა. საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე გვგონია. რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს გახლავთ მეტად ვერაგული და მზაკვრული ჩანაფიქრი იმ ძალის მიერ, რომელმაც ,,ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში შემოგვაპარა!

დღევანდელი მთავრობის მხრიდან უუნარობა, უნიათობა, არაფრის კეთება იმ გეგმის ნაწილია, რომელიც მათი ქვეყნის სათავეში მოყვანის წინაპირობებში იყო ჩადებული. ესაა ჩანაფიქრი, რომელსაც ჩვენი პატრიოტული და ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე ,,გულდათუთქული“ პოლიტიკური ელიტა და შესაბამისად ხელისუფლება, ზედმიწევნით ასრულებს!

მათი გეგმა კი (ჩემი ღრმა რწმენით და ანალიზით), ვინც „ქართული ოცნების“ ქვეყნის სათავეში მოსვლას ხელი შეუწყო, ასეთი იყო: ნაციონალურმა მოძრაობამ გადაამლაშა, მათ ქმედებებსა და მოღვაწეობას ველარ აკონტროლებენ. საჭიროა მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილების განეიტრალება, დროებით შეჩერება, თორემ მსოფლიო საზოგადოების თვალში მათ ნაქებ დემოკრატიას საფრთხე ემუქრება. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ნაციონალური მოძრაობის მმართველობიდან დროებით ჩამოცილება. ამისთვის ასპარეზზე გამოჰყავთ კეთილი ძია, ბატონი ივანიშვილი. მის ხელისუფლებაში მოსაყვანად იქმნება წინაპირობები: ინვესტიციები, ქველმოქმედება და ა. შ. ის, რაც ქართველი ხალხის გრძნობებზე განსაკუთრებით მოქმედებს. ივანიშვილი შეასრულებს იმას, რასაც დაავალებენ. იგი მილიარდერია. ამ რანგის ბიზნესმენი კი ვალდებულია, მათ წრეში მიღებული თამაშის წესებს დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდად დაასრულებს. გეგმა ვითარდება. ქართველი ხალხი აღტაცებულია. ახალი მოლოდინი, ახალი იმედები. ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები წააგო, ქვეყნის სათავეში მოდის ახალი სახელისუფლებო პარტია — ,,ქართული ოცნება“, მოსახლეობა კმაყოფილია. ბოლი გამოშვებულია. სიტუაცია დროებით განიმუხტა. გეგმის შემდეგი ნაწილი: ხელისუფლებაში მოსული პარტიის მოღვაწეობა და საქმიანობა უნდა იყოს ისეთი, როგორიც დღეს არის. სამართლიანობა, რომელსაც ხალხი ითხოვს, არ უნდა აღსდგეს. მთავრობის მოქმედება უნდა იყოს მოზომილი (უნიათო), დოზირებული. ხელისუფლების მოღვაწეობის ყველა სფეროში უნდა ხდებოდეს მათი ქმედებების დისკრედიტაცია და შესაბამისად ამომრჩეველთა საყოველთაო იმედგაცრუება. ხალხი უნდა აიძულონ გაუჩნდეს ნოსტალგია ძველი მთავრობის მიმართ. ეს კი ითვალისწინებს მომავალი არჩევნებისთვის ნიადაგის მომზადებას, რათა ხელისუფლებაში მოვიდეს, თუ ნაციონალური მოძრაობა არა, იგივე შინაარსისა და იგივე მიმართულების, დასავლეთისათვის მისაღები პოლიტიკური ძალა. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი საკუთარი ნებით გააკეთებს მათ გასაკეთებელს და მომავალში უცხო ძალების მიმართ პრეტენზიის წაყენების უფლებაც აღარ ექნებათ! დღეს კი მუდმივად უნდა არსებობდეს გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, რათა ხალხმა თავიდან ამოიგდოს ისეთი ,,სისულელეები“, როგორიცაა ეროვნული ფასეულობები, ტრადიციები, ენა, კულტურა, მართლმადიდებლობა და ა.შ. მხოლოდ მაშინ უნდა აღშფოთდნენ, როცა მოშივათ!.. აი, ასე. ყველაფერი ხელოვნურად და გეგმაზომიერად ვითარდება — მოგეცით საშუალება 4-წელი ხელისუფლებაში ყოფილიყავით, ჭამეთ, მომაგრდით, შეირგეთ და გაიარეთ. მოტყუებული და დაბოლებული ქართველი ხალხი კი, წყალსაც წაუღია!.. მომავალ არჩევნებში ისევ ჩვენ ხალხს დავსვამთ სათავეში და ისინი გააგრძელებენ ქვეყნის საბოლოოდ გადაგვარებას და დასამარებას!.. აი, როგორია ჩვენი გულმხურვალე დასავლელი მეგობრების და სტრატეგიული პარტნიორების სიყვარული და პატივისცემის გამოხატულება ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხის მიმართ! აი, ასეთი მთავრობა გვიზის ქვეყნის სათავეში და ამ ყველაფერს ვითმენთ და ვიტანთ! ვაშა, ჩვენს მოთმინებას! ვაშა, ჩვენს მამულიშვილობას! ვაშა, ჩვენს თავმოყვარეობას და უკვე ავადმყოფურ გულგრილობას!

## ვერსიანიუსი

# ტრეფიკინგის ფაქტზე უზბეკეთის მოქალაქე დააკავეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის სამმართველოს დასავლეთ რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1981 წელს დაბადებული დილრაბო ა. ტრეფიკინგის ბრალდებით ბათუმში, გონიოს დასახლებაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 4 აგვისტოს უზბეკეთის რესპუბლიკიდან ბათუმში საცხოვრებლად და სამუშაოდ მოტყუებით ჩაიყვანა 1984 წელს დაბადებული უკადდამ ტ. და გონიოს დასახლებაში მდებარე ნაქირავებ ბინაში მოათავსა. შემდეგ უკანონოდ მიითვისა მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარითა და შანტაჟით, იძულებით ჩააბა პროსტიტუციაში. დილრაბო ა. უკადდამ ტ-ს მიერ პროსტიტუციის შედეგად გამომუშავებულ თანხებს 2013 წლის 7 ნოემბრამდე ითვისებდა, რაც დაზარალებულის განცხადებით, ათი ათას დოლარამდე თანხას მოიცავდა. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ თანხის მიღების შემდეგ ბრალდებულს და დაზარალებულს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, ამავე დროს დაზარალებული ბათუმში ცხოვრებას განაგრძობდა. ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტის შესახებ სამართალდამცველებისთვის 2015 წლის დასაწყისში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გახდა ცნობილი და ასევე დადგინდა, რომ ამა წლის თებერვალში დილრაბო ა-მ. უკადდამ ტ-ს სიტყვიერი მუქარის მეშვეობით კვლავ მოსთხოვა გარკვეული ოდენობის თანხა, ვითომდა ძველი ვალის დაბრუნების მოტივით. ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების და საქმეზე მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების შედეგად სამართალდამცველებმა დილრაბო ა-ს ბრალეულობა გამოავლინეს, ტრეფიკინგის ფაქტზე ბრალი წარუდგინეს და დააკავეს. გამოძიება დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით ტრეფიკინგის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 143-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***



1. პორტუგალიის დედაქალაქი
2. ახლო მონათესავე ცხოველების შეჯვარება
3. შამპანური „... დიურსო“
4. ცეცხლზე გამხმარი პურის ნაჭერი
5. მოუჭიქავი ფაიფური
6. მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშვნა
7. რძის ცხიმი
8. წმინდა მოგება ძიუდოში
9. გამოსახულ. დამახინჯება ოპტიკურ ხელსაწყოში
10. მუსლიმანთა მღვდელი
11. ქალაქი კახეთში
12. პატარა ჩანთოსანი ცხოველი
13. დამატებითი ტონი მუსიკაში
14. ძველი საბერძნეთი
15. ბრაზილიური ცეკვა
16. ფრანგი მწერალი რომენ ...
17. ტოკიოს ძველი სახელწოდება
18. წამლის ბურთულა
19. ზღვის დიდი კიბო
20. ჯადოსნური სასმელი
21. (ძვ.) გრძელი საბჯენი ჯოხი
22. ევროპის ებრაელ-თა ენა
23. მომკილი თავთავის კონა
24. წარჩინების აღსანიშნავი საბუთი
25. მთა თბილისში
26. ხერხემლის ძვალი
27. სატელეფონო „სიტყვა“
28. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
29. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა
30. მდინარე რუსეთში
31. დედის ან მამის დედა
32. ჭიდაობის ილეთი
33. რუსი პოეტი ... მან-დელშტამი
34. რადიოტალღების დამჭერი მოწყობ.
35. თავისუფალი სამურაი
36. ჰუნების წინამძღოლი
37. კედლის ჭაღი
38. მდინარე გერმანიაში
39. ქართული ანბანის I ასო
40. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
41. რუსების საბრძოლო ყიჟინა
42. თამბაქოს შხამი
43. შეძახილი კონცერტზე ნომრის გასამეორებ.
44. ცნობ. იტალიელი ფეხბურთელი
45. ძველი რომაელების სამოსი
46. პლანეტა იუპიტერი ძველ ქართულში
47. სინათლე ბავშვის ენაზე
48. კურორტი ხარაგაულის რაიონში
49. გამოუწვავი აგური
50. ქართული მინერალური წყალი
51. ყვავილის ლარნაკი
52. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
53. იაპონელი ნობელიანტი მწერალი
54. იაპონიის კუნძული
55. პოეტური გამოცანა
56. წილი ბიზნესში
57. იესო-ქრისტეს გამყიდველი
58. სირაქლემას მსგავსი ფრინველი ავსტრალიაში
59. ლეგენდარ. ამერიკელი ბეისბოლისტი
60. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
61. ცხენი-რემი
62. იაპონური ალუბალი
63. სანელებელი მცენარე

# შოკოლადი გულისთვის სასარგებლოა



შოკოლადი ერთ-ერთ აკრძალულ სიამოვნებად მიიჩნევა, მაგრამ ბრიტანელმა სწავლულებმა აბერდინის, მანჩესტერისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებიდან ახლახან აღმოაჩინეს, რომ შოკოლადის რამდენიმე ნატეხის რეგულარულად მიღება სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. 12-წლიანი კვლევების დროს, რომელშიც 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, დადგინდა, რომ ყველასთვის საყვარელი ტკბილეული მნიშვნელოვნად ამცირებს ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადების ალბათობას. კერძოდ, იმ ადამიანებს, რომელთა ყოველდღიურ რაციონში 100 გრამამდე შოკოლადი შედიოდა, 11%-ით ნაკლებად ემართებოდათ გულის შეტევა და სხვა დაავადებები მათგან განსხვავებით, ვინც უარს ამბობდა ამ ტკბილეულზე. შოკოლადის მოხმარება ასევე 25%-ით ამცირებდა გულით გარდაცვალების რისკს. სპეციალისტების თქმით, შოკოლადის დადებითი გავლენა ფლავანოიდების დამსახურებაა, ეს ანტიოქსიდანტები სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

# ქვის ხანის რესტორანი გახსნეს



ბერლინში რესტორანი მოქმედებს, რომლის მფლობელებიც კლიენტებს იმ კერძებს სთავაზობენ, რომელსაც მილიონობით წლის წინ გამოქვაბულის ადამიანები მიირთმევდენ. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის არც პური, არც ყველი, არც შაქარი... რესტორანმა Sauvage ცოტა ხნის წინ სიამაყით განაცხადა, რომ სტუმრებს, ე.წ. პალეოლითის სამზარეულოთი გაუმასპინძლდებიან. დაწესებულების მფლობელები ოფიციალურადაც არიან „პალეოლითის მოძრაობის“ წევრები, რომელსაც საფუძვლად უდევს ქვის ხანის დიეტა, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, ბუნებასთან სულიერი კონტაქტი, მზის შუქი, მინიმალური ტანსაცმელი და მაქსიმალური ძილი. ისინი Sauvage-ის კლიენტებს სთავაზობენ, გახდნენ ამ მოძრაობის წევრები, თუმცა შეუძლიათ მხოლოდ გასტრონომიით შემოიფარგლონ. კლიენტებთან მიაქვთ საჭმელი, რომელიც შედგება ორგანული, გადაუმუშავებელი მარცვლეულის, ბალახეულის, ხორცის, თევზის, ხილისა და ბოსტნეულისგან, შეკვეთილ სადილს კი სანთლის შუქზე მიირთმევენ.




# ყველაფერი 1 გირვანქად

31 წლის მეწარმემ ნისლიანი ალბიონიდან, ლონდონის ცენტრში მეტად უჩვეულო კაფე გახსნა სახელწოდებით Caffix. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ტრადიციული კერძები და სასმელი იყიდება, მისი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ყველაფერს ერთი ფასი აქვს — ყველანაირი საჭმელი და სასმელი მხოლოდ ერთი გირვანქა სტერლინგი ღირს, თუმცა ულუფებია მცირე, მაგალითად, ერთ გირვანქად მხოლოდ სენდვიჩის ნახევარს იყიდით. აღსანიშნავია ისიც, რომ საჭმელი კაფეში მფლობელის ხელითაა მომზადებული. დაწესებულების დიასახლისის თქმით, მისი მიზანია, კლიენტები დაბალ ფასად, მაღალი ხარისხის პროდუქტით მოამარაგოს. ახალმა კაფემ მომხმარებლებში მალე მოიპოვა პოპულარობა, ახლა კი მფლობელი აპირებს, კიდევ ერთი ანალოგიური კაფე გახსნას.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 2 | | 6 | | |
| 7 | | | | | 6 | | | |
| | | 9 | | 4 | | | | 7 |
| | 9 | | 4 | 3 | | | | |
| 1 | | 8 | 9 | | 2 | 7 | | 5 |
| | | | | 5 | 1 | | 4 | |
| 2 | | | | 1 | | 9 | | |
| | | | 6 | | | | | 3 |
| | | 7 | | 9 | | | 1 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 6 | | | | | |
| | | | | 4 | 2 | | 3 | |
| 8 | 7 | | | | | 5 | | 2 |
| 2 | 8 | | | | 1 | | | |
| | | | 7 | 2 | 4 | | | |
| | | | 5 | | | | 2 | 9 |
| 1 | | 3 | | | | | 5 | 7 |
| | 5 | | 1 | 6 | | | | |
| | | | | | 3 | | 6 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | 1 | | 4 | | 7 | |
| 6 | | 4 | | 2 | | | | |
| 1 | | | 6 | | 3 | | 2 | |
| 4 | 6 | | | | | 7 | | |
| | | | | 9 | | | | |
| | | 8 | | | | | 5 | 3 |
| | 5 | | 8 | | 7 | | | 9 |
| | | | | 1 | | 2 | | 7 |
| | 3 | | 9 | | 2 | | | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 3 | | | 7 | | 4 |
| 5 | | | | | 1 | | 6 | |
| | | | 9 | 7 | | | | |
| | | 2 | 4 | | | | | |
| | 9 | | | | | | 1 | |
| | | | | | 8 | 9 | | |
| | | | | 5 | 4 | | | |
| | 7 | | 6 | | | | | 8 |
| 3 | | 8 | | | 2 | | | 5 |



## ციფრები და ადამიანის ხასიათი

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ რომელიმე ციფრისთვის უპირატესობის მინიჭება ადამიანის ხასიათსა და თვისებებზე მოგვითხრობს. მაგალითად, ერთიანის სიყვარული იმის მანიშნებელია, რომ პიროვნება ეგოისტი და ინიდივიდუალისტია. ვინც ორიანს ირჩევს, მიდრეკილია ბევრი ფიქრისა თუ განსჯისკენ და პესიმისტია; სამიანს ისეთი პიროვნებები ანიჭებენ უპირატესობას, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი უფლებების დაცვა, ოთხიანის მოყვარულები კი საიმედო, ერთგული ადამიანები არიან, რომელთა იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. თუკი ადამიანი შემთხვევითი ციფრებიდან ხუთიანს ირჩევს, დიდია ალბათობა, პიროვნება არამდგრადი ხასითით გამოირჩევა, ხოლო ვინც უპირატესობას ექვსიანს ანიჭებს, მეტად მშვიდი და მომთმენია. სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვისას, რომელშიც 44 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად არჩევადი ციფრი შვიდიანია. ეს „ბედნიერი ციფრი“ პიროვნების სიბრძნეზე და ჯანსაღ აზროვნებაზე მიუთითებს; რვიანს, ჩვეულებრივ, თავდაჯერებული ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას, ცხრიანი კი მათი საყვარელი ციფრია, ვინც აპათიისადმია მიდრეკილი და საკუთარი თავის შეცოდება უყვარს.

## ყოფილი უფროსს 18 მილიონი გადაახდევინა




შვედეთის მოქალაქემ, რომელიც აშშ-ში მუშაობდა, ყოფილ უფროსს 18 მილიონი დოლარი გადაახდევინა მას შემდეგ, რაც უოლსტრიტელი დამსაქმებელი სექსუალურ ძალადობასა და ინტერნეტით ჭორების გავრცელებაში დაადანაშაულა. 25 წლის ჰანა ბუვენგმა ნიუ-იორკის სასმართლოში 43 წლის ბენჯამენ ვეის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. იგი აცხადებს, რომ ექვსი თვის განმავლობაში უფროსი „ახლო ურთიერთობაზე“ მის დაყოლიებას ცდილობდა და ბოლოს სამსახურიდან გაათავისუფლა, როცა გაიგო, ქალს შეყვარებული ჰყავდა. დაზარალებულის თქმით, ამის შემდეგ ყოფილი დამქირავებელი მის შესახებ ინტერნეტში დამამცირებელ ინფორმაციას ავრცელებდა, ასეთივე ხასიათის წერილები გაუგზავნა მის ახლობლებსა და მეგობრებს. სასამართლოზე ვეიმ არ აღიარა დანაშაული, თუმცა მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვეტილება შვედეთის მოქალაქის სასარგებლოდ მიიღო. ყოფილმა დამქირავებელმა ჰანას 18 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

## ბოთლი წყალმცენარეებისგან დაამზადეს



პლასტმასის ბოთლების გამოყენება რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოს, სიახლე არავისთვისაა, ისინი ძალიან ნელა იხრწნება, ბევრ ქვეყანაში კი მათ გადამუშავებაზე არავინ ზრუნავს. ცოტა ხნის წინ გამართულ დიზაინის კვირეულზე, დიზაინერმა როდრიგო გონზალესმა Ooho — საკვებად ვარგისი, ეკოლოგიურად სუფთა, ძალიან თხელი კონტეინერი წარმოადგინა სითხისთვის, რომელიც მურა წყალმცენარეებისგანაა დამზადებული. წყლით სავსე კონტეინერს დიდი წვეთის ფორმა აქვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყალს ახალივით ინახავს, რადგან შიგნით ჰაერი არ არის და მწარმოებლების ინტერესებიც გათვალისწინებულია — მემბრანას ორ ფენას შორის შესაძლებელია ქაღალდის ეტიკეტის მოთავსება. ახალ შეფუთვაში სასმელის მასობრივი წარმოება რომ დაიწყოს, აუცილებელია, ტრანსპორტირების პრობლემა გადაიჭრას, რადგან მემბრანები ძალზე ნაზი და სათუთია.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 | 4 | 6 |
| 4 | 9 | 1 | 7 | 6 | 5 | 2 | 8 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 9 | 6 | 7 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 4 | 5 | 6 | 8 | 2 | 3 | 9 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 2 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 7 | 8 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 2 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 3 | 1 | 6 | 8 | 7 |
| 1 | 3 | 2 | 6 | 8 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 9 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 | 5 | 7 | 6 |
| 3 | 5 | 7 | 1 | 6 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 6 | 4 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 7 | 1 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 7 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 2 | 5 | 7 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 5 | 9 | 2 | 6 | 7 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 7 | 1 | 8 | 3 | 4 |
| 7 | 2 | 3 | 9 | 6 | 8 | 4 | 1 | 5 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 1 | 7 | 6 | 2 | 3 |
| 6 | 1 | 5 | 2 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 4 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 1 | 9 | 4 | 2 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 |
| 7 | 5 | 4 | 1 | 6 | 9 | 3 | 2 | 8 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 5 | 8 | 7 | 9 | 6 |
| 1 | 2 | 7 | 8 | 9 | 5 | 6 | 3 | 4 |
| 5 | 8 | 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 7 | 9 |
| 4 | 9 | 3 | 2 | 7 | 6 | 1 | 8 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. ძუნძული; 2. უნაბი; 3. ძიძია; 4. ლიმფა; 5. ხორთუმი; 6. ომარი; 7. თართი; 8. მახრა; 9. ბარძიმი; 10. ციცერონი; 11. სასანიდები; 12. კვირინალი; 13. მათრახი; 14. ბეცი; 15. მონტევიდეო; 16. ნამიბია; 17. ინცესტი; 18. ემი; 19. კასაცია; 20. ასადი; 21. არშია; 22. სანაცია; 23. სტეინიცი; 24. ამერიკა; 25. მუშტი; 26. ავგია; 27. ემა; 28. რუმბი; 29. მინივენი; 30. „ჭინჭრაქა“; 31. ტრიადა; 32. ნარდი; 33. ნინევია; 34. შეთე; 35. ბაიკა; 36. ბერინგი; 37. იდები; 38. ალდონსა; 39. ვერსია; 40. სლაი; 41. ანოა; 42. ვირი; 43. „ლაკმე“; 44. რემა; 45. ამა; 46. საგა; 47. ელია; 48. „ალანია“; 49. მნე; 50. ნაია; 51. „ლელო“; 52. ბე; 53. აქანდაზი; 54. ალია; 55. ნილგაუ; 56. ბზა; 57. აილამა; 58. ობი.

მე-12 გვერდი: 1. თურაშაული; 2. შტატივი; 3. თითბერი; 4. რახილი; 5. შუმი; 6. ტაბურეტი; 7. ტეგუსიგალპა’ 8. ვერე; 9. ბეილი; 10. იაკუძა; 11. მახათი; 12. ბაგირა; 13. ოსანა; 14. ითაკა; 15. ინფანტილიზმი; 16. თასი; 17. რაინი; 18. რუსო; 19. „კია“; 20. ბალუ; 21. კანა; 22. ძუა; 23. ტოგა; 24. ტორსი; 25. კრედიტი; 26. სუში; 27. არიმანი; 28. ხალა; 29. „სიმფსონები“; 30. პრასი; 31. ამალა; 32. უზი; 33. სიტე; 34. მული; 35. მარო; 36. არილი; 37. ფიდელ; 38. იაიკი; 39. ბინომი; 40. მარაო; 41. მამაი; 42. მარილი; 43. სილა; 44. რობოტი; 45. აბრაუ; 46. მზე; 47. მანგო; 48. ლეტო; 49. ლოლიშ; 50. შპონი; 51. ტროა; 52. ნინია; 53. ერევანი; 54. ასტარტე; 55. როდენი; 56. ამიმია; 57. კორა; 58. იონი; 59.. ბეკეკა; 60. სიმონი; 61. პონი; 62. შოუ; 63. აბრა; 64. კანარისი; 65. ალოე; 66. ბანზაი; 67. „რიბოკი“; 68. სირი; 69. მელოტი; 70. ერიკ; 71. სალვე; 72. ფისი; 73. ადლი; 74. მონა; 75. ირი; 76. ალუ; 77. ვანილი; 78. დუ; 79. ტრაური; 80. კრუიფი; 81. ინდი; 82. აკვედუკი; 83. იულ; 84. მარტინი; 85. მარსო.



1. ადამიანის ქანდაკება მკერდამდე
2. მასხარა შექსპირის „ჰამლეტში“
3. მსოფლიოს უდიდესი უდაბნო
4. კათოლიკეთა მღვდელი პოლონეთში
5. ქალის სასიმღერო ხმა
6. ზღვის მარტორქა
7. ინდუიზმის სამების უმღლესი ღვთაება
8. კრების მსვლელობის აღმწერი დოკუმენტი
9. ლომების ოჯახი
10. სიჩქარის ერთბაშად და მკვეთრად გადიდება სპორტულ შეჯიბრებებში
11. იტალიელი კინოვარსკვლავი ჯინა ...
12. მსხლის ჯიში
13. ბოთლის საცობის მასალა
14. წყალქვეშა კლდე
15. სალვადორ დალის ცოლი
16. ქართული ხალხური ზღაპარი
17. ჯარისკაცთა დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვ.
18. სპორტული ორთაბრძოლის სახეობა
19. სახლს მიშენებული ღია ნაწილი
20. არიანეს თხზულება მაკედონელის შესახებ
21. ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ვაჟი
22. ტექნიკური ზეთი
23. ინდოეთის პროვინციის მმართველის ტიტული
24. თბილისის ერთ-ერთი ბაზრობა
25. ს. დოლიძის ფილმი ლეილა აბაშიძის მონაწილეობით
26. ესპანეთის რეგიონი
27. სამეცნიერო დაწესებულება ასტრონ. დაკვირვებისთვის
28. კარგად მოსიარულე ცხენი
29. დიდი წვეულება, ქეიფი
30. ძალიან დიდი და კაშკაშა მეტეორი
31. სალამურას მეგობარი გოგონა
32. სოკოს ქსელი საკვებ პროდუქტზე
33. ... უშიშარაისძე „დიდოსტატის მარჯვენაში“
34. ვოლტერის ნამდვილი გვარი
35. ოქროს ან ვერცხლის ძაფი
36. რუსი საბჭოთა კომიკოსი
37. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
38. ხელოვნური საერთაშორისო ენა
39. მახაჩყალის საფეხბურთო კლუბი
40. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
41. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
42. ესმერალდას თხის სახელი
43. ცხოველის სხეულის ბოლო ნაწილი
44. ღრმა და შეუ-ხორცებელი ჭრილობა
45. წარსულში ცნობილი ჩილელი ჩოგბურთელი
46. ავთანდილის ეროვნება „ვეფხისტყაოსანში“
47. ყველაზე დიდი მაიმუნი
48. ზღაპრული შინაარსის იგავი
49. ფრანგი ფერმწერი
50. ღრმა და ბნელი ორმო
51. თანამედროვე ამერიკელი მწერალი
52. ძვირფასი ქვა
53. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კუნძული
54. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
55. ინდოეთის შტატი
56. მაუგლის პითონი
57. საგანთა ნუსხა
58. მიმდინარეობა თანამედროვე მუსიკაში
59. მინერალური საღებავი თეთრეულისათვის
60. მტკვრის და ჭოროხის აუზების წყალგამყოფი ქედი
61. გასართობი სანახაობა
62. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
63. ლატვიის ვალუტა
64. სავარცხლი-ანი ჩიტი
65. ვოინიჩის ცნობილი რომანი
66. ნახევრად ძვირფასი ქვა
67. ამერიკელი მომღერალი ... სტეფანი
68. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი
69. ადამიანის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება
70. ესტონეთის სიდიდით მეორე ქალაქი
71. ფრანგი ფერმწერი
72. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
73. მტკნარი წყლის დელფინი
74. სოფელი ქედის რაიონში
75. რუსული თვითმფრინავების მარკა
76. უდაბნო სამხრეთ ამერიკაში
77. „მტირალა“ ხე
78. მსახიობი ... პაჩინო
79. ცირკის მოედანი
80. ამერიკელი რეპერი
81. ძალიან დიდი ტანის ადამიანი ან ცხოველი
82. სამხედრო ნადავლი
83. კომპოზიტორი ... ბაბაჯანიანი
84. ქარისგან მოტანილი სილის ბორცვი
85. ჰომეროსის პოემა



# მეტროში კინოთეატრებს გახსნიან

დუბაის მეტროსადგურებში მალე კინოთეატრები და ელექტრონული ბიბლიოთეკები გაჩნდება. როგორც ამბობენ, ყოველი სადგური ხელოვნების გარკვეულ სფეროსა და მიმართულებას მიეძღვნება: მუსიკას, ფერწერას, ფოტოგრაფიას, თანამედროვე ხელოვნებას და ისლამურ კალიგრაფიას; ერთ-ერთ სადგურზე ელექტრონული ბიბლიოთეკაც განთავსდება. მეტროებში გაიმართება წარმოდგენები, მათ შორის შუქის, მუსიკალური და 3D-შოუები. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, თავად მეტროსადგურებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვა-გალამაზებაც იგეგმება, სამუშაოების ღირებულება კი, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 50 მილიონი დოლარია.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.